# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 11 ივლისი 2003 №127 (1898) | ფასი 50 თეთრი


# უეფამ ხელი გაანძრია. ჩვენს მაგივრად

აგერ უკვე რამდენი წელია, ვწუწუნებთ, რომ ქართული კლუბებისთვის ევროსათასო სეზონი ზაფხულშივე მთავრდება. დიდი-დიდი, რომელიმე ქართულმა გუნდმა ერთი შესარჩევი ეტაპი გადალახოს და მაშინვე, სექტემბრამდე ვერმიღწეული, მეორე ეტაპზე ამთავრებს ბრძოლას.

საშველი კი არ ჩანს. უფრო სწორად, აქამდე არ ჩანდა და, მგონი, გამოჩნდა — ქართველთა საშველი უეფაა.

უეფას აღმასკომმა გუშინ არამხოლოდ ჩვენთვის, ზოგადევროპული ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: 2004-05 წლების სეზონიდან უეფას თასს ჯგუფური ეტაპი შეემატება.

ეს ნიშნავს, რომ თუ ქართულმა გუნდმა ერთი შესარჩევი ეტაპი გადალახა, სადაც ძალიან სუსტი გუნდი შეხვდება, ჯგუფურ ეტაპზე გავა და სულ მცირე, კიდევ ოთხ გუნდს შეხვდება.

არც ეს უნდა იყოს ზღვარი, რადგან ჯგუფიდან გასვლა მესამე ადგილითაც შესაძლებელი იქნება. ამასობაში შემოდგომა კი არა, ზამთრის პირიც მოვა.

გუშინვე უეფას აღმასკომმა სანაკრებო შეჯიბრებებზეც მიიღო გადაწყვეტილება და ქართველი გულშემატკივარი არც ამ გადაწყვეტილებით უნდა დარჩეს უკმაყოფილო: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მომდევნო შესარჩევ ციკლებში 6 და 7-გუნდა ჯგუფები იქნება, ანუ საქართველოს ნაკრები წელიწადში ოთხის ნაცვლად 5-6 ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს.

ერთი სიტყვით, უეფა ჩვენსკენაა და ვისკენაა ქართული ფეხბურთი?



შარშან ზაფხულში „დინამომ“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, მერე „ლიბერეცთან“ დამარცხდა და გავარდა. ახალი ფორმატით „დინამოს“ კიდევ სამი მეტოქე ერგებოდა

# წყალსაც წაუღია მშვიდი ცხოვრება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაც გაიმართა, მასზეც ახალ ფორმატზე იყო მსჯელობა და გადაწყვეტილებაც ისეთი მიიღეს, საქართველოს ჩემპიონატს ინტრიგა უნდა მოემატოს.

რეგლამენტის პროექტი, რომელიც გუშინ დამტკიცდა, ითვალისწინებს, რომ ახალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგებში მშვიდი ცხოვრება აღარავის ექნება.

უმაღლესი ლიგიდან, როგორც აქამდე იყო, ორი გუნდი პირდაპირ გავარდება, ორსაც გადათამაშება მოუწევს. ანუ ქვეექვსეულიდან მხოლოდ ორ გუნდს ექნება გარანტირებული უმაღლეს ლიგაში დარჩენა და იმ ორ გუნდად ყოფნისთვის დიდი ვანამანია ატყდება.

პირველი ლიგიდან აღზევების შანსი კი ერთბაშად ოთხ გუნდს ექნება, რეგიონალლიგაში კი ხუთი გუნდი გავარდება და რა უნდა მოხდეს, შეჯიბრებას ინტრიგა ბოლო ტურამდე არ გაჰყვეს.



# O.K. ზაზა 19 ქულა 11 მოხსნა

ზაზა ფაჩულიამ დიდხანს არ ალოდინა ორლანდოელები. იქ მიმდინარე საზაფხულო ლიგის პირველ თამაშში ჩავარდნის შემდეგ ზაზამ მეორეში მკლავები დაიკაპიწა და გუშინწინ „დეტროიტს“ 19 ქულა ჩაუგდო და 11 ბურთი მოუხსნა. იმ თამაშში ამდენი არც არავის ჩაუგდია, არც მოუხსნია და — ესეც აღსანიშნია — არც არავის უაქტიურია მისებრ. ზაზაზე ხშირად ჯარიმდებოდნენ და მან 14 სროლის უფლება მოიპოვა, რაც 11 ქულად აქცია.

19 ქულა და 11 მოხსნა თავისთავად არაა ურიგო შედეგი 19 წლის ევროპელი ბიჭისთვის, რომელიც ამერიკაში სულ მეორე თამაშს ატარებს, მაგრამ ნამატჩევ საუბარში ზაზამ გვითხრა, ამაზე უკეთ თამაშიც შემეძლოო. რა შეუძლია, ეს ამ დღეებში გამოჩნდება, „ორლანდოს“ კიდევ სამი თამაში დარჩენია და ზაზას კიდევ მიეცემა ქულა-მოხსნების გროვებისთვის საკმარისი დრო. მთავარია, მან ჩამოიხსნა საყოველთაო ყურადღებისა და დაძაბულობის ტვირთი და დაიწყო იმის კეთება, რაც შეუძლია. ზაზა ფაჩულიას კი კალათბურთის თამაში შეუძლია და იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ კარგადაც.

# მიხეილ აშვეთიას გოლები სჭირდება






# ლოკომოტივმა მოხეტიალე ფორვარდი სამნახევარი წლით დაასვენა

# ჩემპიონატი გარდამავალია, ლიგა გარდაუვალი

## მე-15 არის, შუშაკი იქნება, რკინიგზის ფული კი...



ჩვეული სამეული ალმასკომის თავში: ვალერი ჩოლარია, მერაბ ჟორდანია, რომან შოთაძე

**მას მერე,** რაც ალმასკომის დღის წესრიგიდან ეროვნული ნაკრების თავკაცის დანიშვნის საკითხი ამოიღეს, გუშინდელი სხდომა საგრძნობლად გაუფერულდა. ორიოდ საინტერესო ამბავი სხვაც იხილებოდა, მაგრამ ამათზე სავარაუდო შედეგი თავიდანვე ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, ფედერაციის მისალებში ჟურნალისტებმა ზუსტად ორი საათი ვიყურყუტეთ. სხდომის დასრულების შემდეგ კი ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ საპრესკონფერენციოდ გვიწვია.

ფედერაციის ალმასკომის თავმჯდომარე ანუ ფედერაციისავე პრეზიდენტი მოადგილეების გარეშე რომ არ დარჩებოდა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა. მართლაც, ეს მისია აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაც მურად ანჯაფარიძეს, თბილისის ფედერაციის პრეზიდენტ ნუკრი კაკილაშვილს და მათ აჭარელ კოლეგას ალექსანდრე ახვლედიანს დაეკისრათ.

ამის მერე მეთხუთმეტე ჩემპიონატის და თასის გათამაშების რეგლამენტის, ასევე სფფ-ს სადისციპლინო დებულების დამტკიცებაზე მიდგა საქმე. ჟორდანიას თქმით, რეგლამენტში ცვლილებებს მომხრეებიც ჰყავდა და არც მოწინააღმდეგენი აკლდა, მაგრამ წარდგენილი პროექტი ბოლოს მაინც დამტკიცდა. უმაღლესი ლიგიდან ბოლო ორი გუნდი გავარდება, ორიც პირველი ლიგის მესამე და მეოთხეადგილოსნებთან ერთმატჩიან დუელში გაარკვევს „ყოფნა-არყოფნის" საკითხს. პირველ ლიგას კი ხუთი გუნდი დაემშვიდობება. გათამაშების ეს სისტემა ჩემპიონატს მეტ დაძაბულობას შესძენსო, — თქვა პრესკონფერენციაზე საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცმა რომან შოთაძემ.

რაც შეეხება მეთხუთმეტე ჩემპიონატს, ალმასკომის გადაწყვეტილებით, მას ფედერაცია და პროფლიგა ერთად ჩაატარებენ, კურატორობას კი საშეჯიბროს თავკაცი რომან შოთაძე გაუწევს.

— ჩემპიონატს პროფესიულმა ლიგამ უნდა მიხედოს. ეს შეუჩერებელი პროცესია, მაგრამ წლეულს ერთობლივად ვიმოქმედებთ, რათა გარდამავალი პერიოდი ნორმალურად გავიაროთ და შეცდომებიც არ დავუშვათ — განაცხადა ჟორდანიამ.

ქართული ფეხბურთის დღედ 13 მაისი დაითქვა, მსაჯთა აკადემიის ჩამოყალიბებაც გადაწყვეტილი ამბავია. ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში ნოდარ ახალკაცის და კახი ასათიანის მემორიალურ დაფებს მოვკარით თვალი, რომლებიც ამ სახელიანი ადამიანების საცხოვრებელ სახლებზე დამაგრდება. ამას მოგვიანებით გავაკეთებთ, რადგან უმცროსი ნოდარ ახალკაცი და დედამისი ამჟამად გერმანიაში არიან და გვინდა, მემორიალური დაფის გახსნას დაესწრონო — გვამცნო მერაბ ჟორდანიამ. მისი თქმით, ფეხბურთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდოები, რომლებსაც ზარაფხანაში დაამზადებენ და ჯერაც უცნობია, როგორი იქნება, ნოდარ ახალკაცს და კახი ასათიანს მიეძღვნება.

ალმასკომმა უმაღლესი ლიგის კლუბების ლიცენზირებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შესახებაც მოისმინა მოხსენება. ყოფილ საბჭოეთში პირველები ვართ, ვინც კლუბთა ლიცენზირებისთვის მზად არისო — თქვა ჟორდანიამ.

როგორც იქნა, დაადგა საშველი აქამდე შერისხულ მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილს. მისი რეაბილიტაცია შედგა. ალმასკომმა მას მწვანე შუქი აუნთო, თუმც კრიჭაშვილის დაბრუნებას ერთი მოწინააღმდეგე მაინც ჰყავდა — გუშინ ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია შეუვალი იყო. მან ბოლომდე შეინარჩუნა პრინციპულობა და აზრი გუშინაც არ შეუცვლია.

ბოლოს გუშინდელი ალმასკომის არშემდგარი ინტრიგის ამბავიც ვახსენოთ. დღის წესრიგში საქართველო — რუსეთის ჩაშლილი მატჩის გამოძიების შედეგების მოსმენაც იყო შეტანილი, მაგრამ მერაბ ჟორდანია ალმასკომამდე რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძეს შეხვედრია.

— მე კიდევ ერთხელ მივმართე რკინიგზელებს თხოვნით, კიდევ ერთხელ დავუდასტურე ჩემი პატივისცემა. არ მსურს, მტრებად ვიქცეთ და მათ ღვაწლსაც ვაფასებ. ჩვენ მხოლოდ კონტრაქტით კუთვნილს ვითხოვთ. რომ არ გვიჭირდეს, იქნებ სალაპარაკოც არაფერი ყოფილიყო. თანხის მიღების ბევრი გზა არსებობს, 80 ათასი შვეიცარიული ფრანკი უეფადან უკვე ჩვენს ანგარიშზე ავტომატურად გადმოვიდა, მაგრამ არ მინდა, რკინიგზელებთან დავა გვქონდეს. საუბარი დღეს შედგა, პასუხი ჯერაც უცნობია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი მოგვარდება — მერაბ ჟორდანიამ ფედერაცია-რკინიგზის ბოლოდროინდელი დავის შესახებ ეს გვითხრა და სულ მალე დაგვემშვიდობა კიდეც. ჩვენ კი ისე გავიგეთ, რკინიგზა ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდას დაჰპაბულდაო. ეს იმას ნიშნავს, რომ „ლოკომოტივს" სატრანსფერო უფლებები აღარ შეეზღუდება და იმ სასჯელებსაც ასცდება, რითაც ფედერაცია ემუქრებოდა.

რაც შეეხება ეროვნული გუნდის თავკაცს, ჟორდანიამ გუშინვე მოგვანიშნა, თუ შუშაკი დაგვთანხმდება და „დინამოს" ხელმძღვანელებიც კეთილ ნებას გამოიჩენენ, მწვრთნელად ჩვენც შუშაკს ვისურვებთო. მოკლედ, სავარაუდოდ, ხორვატი შესარჩევი ეტაპის ბოლომდე მწვრთნელად შეგვიძლია ვიგულოთ.

**გამუშა ქმანტალიანი**

*სფფ-ის გუშინდელმა ალმასკომმა ბეჭედი დაუსვა იმას, რომ დამდეგ ეროვნულ ჩემპიონატს პროფესიული საფეხბურთო ლიგა და ფედერაცია ერთობლივად ჩაატარებენ.*

*ალმასკომის დამთავრების შემდეგ პროფესიული ლიგის პრეზიდენტ ДИМА РАМИШВИЛС ინტერვიუ ჩამოვართვით — ქართულ ფეხბურთში ხომ ახალი მოდელი იგეგმება*



# პროფლიგის ერთი წელი პრეზენტაციიდან დამოუკიდებლობამდე

— ქუთაისის „ტორპედოში" კლუბის დამფუძნებლების თხოვნით ხუთი წლის წინ მივედი, რათა „ტორპედოს" მენეჯმენტს გავძღოლოდი და საკუთარი პრაქტიკითაც დავრწმუნდი, რომ ძალიან ძნელია კლუბის და საერთოდ ფეხბურთის განვითარება არსებულ პირობებში — კლუბის მფლობელები თანხებს გამოდიან, მაგრამ ამონაგები ფაქტობრივად არ არის. აქედან გაჩნდა პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნის იდეა. თუმც, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი ნააზრევი არ გახლავთ — ყოველივე ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებიდან მოდის.

**— კონკრეტულად რა უპირატესობებს შესძენს პროფესიული ლიგა ქართულ ფეხბურთს?**

— ფეხბურთი გარკვეულწილად შოუა, მაგრამ ეს შოუ ყველა ქვეყანაში ერთნაირი ვერ იქნება, რადგან ყველგან განსხვავებული სიტუაციაა. ზოგადად კი პროფესიული ლიგა პირველ რიგში ფეხბურთის პოპულარიზაციას და ჩემპიონატის დონის ამაღლებას უწყობს ხელს.

**— გასაგებია, მაგრამ თითქმის ყველაფერი ფინანსებთან მიდის...**

— ნებისმიერი წარმატებული საქმისთვის საჭიროა რისკი და სწორი ნაბიჯის გადადგმა. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა უკვე რამდენიმე ტელეკომპანიამ გამოთქვა — „რუსთავი 2", „იმედი", „მეცხრე არხი" და „პირველი არხი". მათთან პროექტზე ერთობ სერიოზულად ვმუშაობთ.

**— პროფესიული ლიგის პარტნიორები მხოლოდ ტელეკომპანიები იქნებიან?**

— არიან სხვა პოტენციური პარტნიორებიც — იმაზე მეტი, ვიდრე ველოდით. იმედია, რომ პარტნიორები კიდევ უფრო მოგვიმრავლდებიან.

**— და რომელი კომპანიები გახდებიან პროფესიული ლიგის პარტნიორები?**

— ეს საკითხი საბოლოოდ ჩემპიონატის დაწყებამდე აუცილებლად გადაწყდება. პროფესიული ლიგა თავის პარტნიორებთან ერთად საგანგებო პრეზენტაციასაც კი მოაწყობს.

**— შეგიძლიათ გვითხრათ, რა თანხას მოიზიდავთ პარტნიორებისგან?**

— ზუსტ თანხას ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ იმას კი დავძენ, რომ პარტნიორებისგან მიღებული ფული სწორად დაიხარჯება.

**— თანხა უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებზე უნდა განაწილდეს, მაგრამ რა პრინციპით? ამის სრულყოფილი სისტემა ვერც ზოგიერთ წამყვან ევროპულ ქვეყანაში შექმნეს. მაგალითად, ზოგიერთ გრანდკლუბს პრეტენზიები აქვს პროფლიგასთან — ჩვენც და მაჩანჩალა კლუბებიც ერთი და იგივე თანხას რატომ უნდა ვიღებდეთო.**

— თანხის განაწილების პრინციპი კლუბებთან შეთანხმდება. ეს პრინციპი ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის და ჩვენც საქართველოს შესაფერის ვარიანტს ავირჩევთ.

**— სადისციპლინო კომიტეტი პროფლიგის სტრუქტურაში შევა?**

— დიახ.

**— მსაჯთა კომიტეტსაც პროფლიგა დააფინანსებს?**

— ასე იქნება.

**— დამდეგ ჩემპიონატს თქვენ და ფედერაცია ერთობლივად ჩაატარებთ — როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თანამშრომლობა?**

— სფფ ჩვენი ყველა საკითხით იქნება დაინტერესებული — ფედერაცია ჩვენ ყველაფერში გვერდში დაგვიდგება, თუნდაც ის რად ღირს, რომ ფედერაცია თავისი გამოცდილი კადრებით დაგვეხმარება.

**— ლიგის თასის ჩატარებას არ გეგმავთ?**

— ჩვენი მიზანია, რომ ლიგის თასის გათამაშებაც ჩავატაროთ, მაგრამ ამ სეზონში ეს ვერ მოხერხდება — ამისთვის ჯერ მზად არ ვართ.

**— გაისად ეროვნულ ჩემპიონატს პროფესიული ლიგა დამოუკიდებლად ჩაატარებს?**

— ალბათ კი. ვფიქრობ, გარდამავალი ეტაპისთვის ერთი წელი საკმარისი იქნება.

**თამით თამართქილაძე**

# შუშაკმა თქვა, მზად ვართო

## ორი დღე და ორი ნემსი ვიტალი დარასელიას

**გუშინ** თბილისის „დინამომ" რუიტული შეკრების ბოლო მატჩი გამართა. რეგიონალლიგელ „ულმთან" 1:2 მარცხის შემდეგ ივო შუშაკის გუნდს შედარებით სუსტი, ჩვენი საზომებით მეოთხე ლიგის ლიდერი „მენინგენი" ჰყავდა მეტოქედ. დინამოელებმა 3:0 იმარჯვეს, თუმც უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება.

შუშაკმა ამჯერადაც ორი შემადგენლობა დაუპირისპირა „მენინგენს". პირველ ტაიმში „დინამომ" ასეთი თერთმეტეულით ითამაშა: *გვარამაძე, კანდელაკი, ექონია, წერეთელი, სახვაძე, კვირკველია, ტესერი, კარლოსი, სამხარაძე, იაშვილი, ბობოხიძე.* მეორე ნახევარში კი შემადგენლობა ასეთი იყო: *ზოიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, კვირკველია, სახვაძე, გოგობერიშვილი, ბურდული, ანჩაბაძე, მელქაძე, ახალაია.*

პირველი საგოლე მომენტი „დინამოს" 21-ე წუთზე ჰქონდა, როცა მიხეილ ბობოხიძემ ხარიხას გაარტყა ბურთი. რვა წუთში კი ირაკლი სამხარაძემ ილია კანდელაკის პასი შეირგო და ანგარიში გახსნა — 1:0.

დინამოელებმა შესვენების შემდეგ მარწუხებს უფრო მოუჭირეს. 61-ე წუთზე გიორგი ანჩაბაძის საჯარიმო დარტყმა „მენინგენის" კარის ცხრიანში გაეხვა, 76-ზე კი ლადო ახალაიამ უძლიერესი გასროლით გაასამა ანგარიში.

მონდომებული ჩანდა „დინამოს" ახალწვეული ლევან მელქაძე, რომელსაც ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, თუმც ჯერ მისი თავური მოხვდა ხარიხას, მერე კი პირისპირ გასულმა მეკარეს ვერ აჯობა.

ივო შუშაკი ბიჭების გარჯით კმაყოფილი დარჩენილა:

— ორივე ტაიმში კარგად ვითამაშეთ. გოლის გატანა კიდევ შეგვეძლო, მაგრამ სამითაც კმაყოფილი ვარ. შეკრება თითქმის დავასრულეთ. ვფიქრობ, გუნდი მზადაა „ტირანასთან" სათამაშოდ. ნაყოფიერად მოვემზადეთ და წარმატების იმედიც მაქვს...

ჯერაც გაურკვეველია ბრაზილიელ ტესერის ბედი. მართალია, შუშაკმა გასინჯულ უცხოელთაგან ყველა დაითხოვა, მაგრამ ფაქტია, ტესერმა გუშინაც ითამაშა „დინამოს" შემადგენლობაში. როგორც ჩანს, მასზე საბოლოო სიტყვას ხორვატი დღეს იტყვის.

და კიდევ, „მენინგენთან" არ უთამაშია ვიტალი დარასელიას. გერმანელი ექიმების თქმით, მას ორი დღით დასვენება სჭირდება, ორი ნემსიც გამოუწერეს და... დარასელიას ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებაო, გვითხრა „დინამოს" პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ.

ხვალ „დინამო" თბილისში დაბრუნდება.

**კახა ზალამბერიძე**

**ფინეთი**

**XII ტური**

**კუოპიო 0:0 ალიანსი**

**ტამპერე 5:0 იოკერიტი**



*ორი წლის წინ ქუთაისის „ტორპედოდან“ დანიურ „კოპენჰაგენში“ მილიონ დოლარად გაყიდული და მოგვიანებით ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში“ განათხოვრებული მიხეილ აშვეთია ამიერიდან მოსკოვის „ლოკომოტივში“ ითამაშებს. რკინიგზელებმა ქართველი თავდამსხმელი დანიელებისაგან გამოისყიდეს და გუშინ დილით სამნახევარწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.*

*ხელმოწერის შემდეგ კი მიხეილ აშვეთია ჩვენი რესპონდენტი იყო...*

# მიხო და მახო დაძმობილდნენ

## ქუთაისი ქალაქია ლოკოს დამამშვენებელი

— ერთი საათის წინ მოვაწერე კონტრაქტს ხელი. ახლა უკვე ოფიციალურად გავხდი ლოკომოტიველი და ძალიან მინდა, ახალ კლუბს გამოვადგე.

**— „კოპენჰაგენიდან“ საბოლოოდ გათავისუფლდი?**

— „ლოკომოტივმა“ დანიელებთან შეთანხმებას მიაღწია და სრულად გამომისყიდა. ახლა სამნახევარი წლით რკინიგზელების საკუთრება ვარ.

**— რამდენი გადაიხადა „ლოკომოტივმა“ შენს სანაცვლოდ?**

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, ეს ჩემი საქმე არ არის.

**— რა ნომერი გერგო?**

— 32. სხვა ნომრები დაკავებული იყო.

**— გუნდიდან წასული ნიგერიელი ჯეიმს ობიორას 9 ნომერი თითქოს შენი უნდა ყოფილიყო.**

— მეც ასე ვფიქრობდი. ობიორა გუნდიდან კი გაუშვეს, მაგრამ მისი მაისურის გასხვისება ახლა არ შეიძლებოდა. ჯერ ხომ სეზონი არ დამთავრებულა და ის განაცხადში ამ ნომრით ეწერა. არც აქვს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა, 32-ით ვითამაშებ თუ 9-ით. ეს ფორმალური მხარეა.

**— ხელმოწერას ვინ ესწრებოდა?**

— კონტრაქტს ხელი „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვთან ერთად მოვაწერე.

**— ჟურნალისტებთან უკვე წარგადგინეს?**

— არა, ეს ჯერ არ მოხერხდა. ყველაფერი ისე მალე მოხდა, რომ დრო თითქმის არ დარჩა. თან ხვალ რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრე იწყება და გუნდი შეკრებაზეა. მეც მალე ვარჯიშზე მივდივარ.

**— როგორც ჩანს, „ლოკომოტივს“ შენი დიდი იმედი აქვს...**

— ჰო, მეც ეგ მითხრეს. ვფიქრობ, ახალ კლუბში თავს კარგად წარმოვაჩენ. რამდენიმე დღეა, „ლოკომოტივთან“ ერთად ვვარჯიშობ და უცხოდ თავს უკვე არ ვთვლი. თან მალხაზ ასათიანიც გვერდით მყავს. ასე რომ, ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

**— პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— რა თქმა უნდა. პირობებზე ადრევე ვიყავით შეთანხმებულნი.

**— სად იცხოვრებ?**

— ბინას მაძლევენ. ჯერ კი ალბათ ბაზაზე ვიცხოვრებ.

**— ესე იგი, ოჯახსაც თან წაიყვან?**

— ჯერ არა. მოვეწყობი, აქაურობას უფრო შევეგუები და ოჯახს მერე წავიყვან. ახლა კი ყველაზე მეტად გოლები მჭირდება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

*თუ ქართველი რეინჯერსელები ჯერაც თბილისში არიან, დანდელი გიორგი ნემსაძე უკვე შოტლანდიაშია. გუნდიდან ზურაბ ხიზანიშვილის წასვლის შემდეგ გია „დანდის“ მარტოსული ქართველია.*

*ეროვნული ნაკრების კაპიტანს გუშინ დანდიში შევეხმიანეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ.*

# ნემსაძე სტუდენტმა გოგონამაც მიატოვა

## ნაკრების კაპიტანი გულს ამერიკაში გადააყოლებს



— შეკრება ორშაბათს დაგვეწყო, თუმც მალე აქედან ავიბარგებით — პარასკევს ლონდონიდან შტატებში გადავფრინდებით და კაროლინაში დავბინავდებით. იქ რამდენიმე საკონტროლო მატჩს ვითამაშებთ, თუმც ჩვენი მეტოქეების ვინაობა ჯერ არ ვიცი. ამერიკიდან 22 ივლისს დავბრუნდებით ბრიტანეთში, სადაც ხუთი შეხვედრის ჩატარება გვაქვს დაგეგმილი, აქედან ორს ლონდონში ვითამაშებთ.

— „დანდიში“ ერთი სატრანსფერო სიახლეა — ამერიკაში ტრინიდად-ტობაგოელი მცველი შემოგვიერთდება.

— რაც შეეხება გეგმებს, კლუბის ხელმძღვანელობა წინა სეზონზე უკეთეს შედეგს გვთხოვს. ყოველ შემთხვევაში, ექვსეულში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ და უეფას თასზე რაც შეიძლება მეტი ეტაპი გავიაროთ.

— ხიზანიშვილის „დანდიდან“ წასვლით გული კი დამწყდა, მაგრამ მას თავისი კარიერა აქვს. დანდიში ჩვენი ოჯახის გარდა ქართველი სხვა არავინაა. ერთი ქართველი სტუდენტი გოგონა იყო და ისიც აღარ ჩანს.

**დავით თავართქილაძე**

# კობიაშვილი ეკრანზე ვნახეთ და მოვუსმინეთ

## ხუმარა ქართველის გულწრფელობა

**ლევან კობიაშვილის** „შალკე 04“ შეკრებისთვის უცხოეთში არ წასულა — გერმანიის ერთ-ერთ მხარეში, საქსონიაში ემზადება დამდეგი სეზონისთვის. „ხუმარებმა“ ამ კვირაში ორი ტესტმატჩი ითამაშეს. მათი პირველი მეტოქე ჩეხეთის უმაღლესი, გამბრინუს ლიგის მე-12 ადგილზე გასული „იაბლონეცი“ გახლდათ. გელზინკირხენელებმა 4:0 მოიგეს. შეხვედრას 1000 მაყურებელი დაესწრო. „შალკემ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *როსტი — ალსიდერი, ვალდოხი (ჰაიტო 79), მატელანი, **კობიაშვილი** — ასამოა (პინტო 67), ალტინტოპი (ვერმანტი 81), პოულსენი, ზაიცი (ტროიანი 79) — ჰანკე (ცოიმერი 67), სანდი.*

გოლები ებე სანდის (8, 75) და „შალკეს“ ერთ-ერთი ახალწვეულის ჰამიტ ალტინტოპის (72, 813) ანგარიშზეა. როგორც შემადგენლობიდან მიხვდით, კობიაშვილმა დაცვაში ითამაშა და საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ შალკელებს ორი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული: იორგ ბიომე და ნილს უდე კამპუისი — ისინი კარგა ხანს ვერ ითამაშებენ.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრისთვის გელზენკირხენელებმა ორი ობერლიგური გუნდი აირჩიეს — „აუერბახი“ და „ცვიკაუ“. პირველ ტაიმში „შალკე“ „აუერბახს“ ეპაექრებოდა, მეორეში კი „ცვიკაუს“. ასეთი უჩვეულო მატჩი, რომელმაც 3000 გულშემატკივარი შემოიკრიბა, „ხუმარებმა“ 6:1 მოიგეს, მათგან გოლები კი სერჟიო პინტომ (5), ვიქტორ აგალიმ (35,41), სიმონ ცოიმერმა (60), ფილიპ ტროიანმა (83) და სვენ ვერმანტმა (87) გაიტანეს. შალკელთა თავკაცმა ამ მატჩში თოთხმეტი ფეხბურთელი გამოსცადა: *უნლუ — პინტო (ასამოა 46), ჰაიტო, ვან კერჰოვენი (ზაიცი 46), **კობიაშვილი** — ცოიმერი, ვერმანტი, კმეტჩი, ტროიანი — მპენზა (ჰანკე 53), აგალი.*

ნამატჩევს ჰაინკესს უთქვამს, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, ფეხბურთელებმა ჩემს მიერ დანერგილი სისტემა კარგად აითვისეს, რაც ჩვენთვის წინგადადგმული ნაბიჯია მოსამზადებელ პერიოდშიო.

„შალკეს“ ვებ-საიტზე კობიაშვილთან მცირე ვიდეოინტერვიუც გამოქვეყნდა — ლევანის საუბარს



პირდაპირი ეთერით არა, მაგრამ მაინც ცოცხლად ვადევნეთ თვალყური, რაც გადმოვაქართულეთ კიდეც.

**— როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები „შალკეში“?**

— დავინახე, რომ განსხვავება „ფრაიბურგსა“ და „შალკეს“ შორის ძალიან საგრძნობია — „შალკე“ მართლაც დიდი გუნდია. აქ სულ სხვა ვითარებაა. რამდენიმე კვირაა, რაც „შალკეში“ ვარ და ჯერ კიდევ ბევრი რამ არ მინახავს, მაგრამ რაც ვნახე, ასეა.

**— „ფრაიბურგში“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყავით — „შალკეში“ როგორ გრძნობთ თავს?**

— „შალკეში“ გადასვლა ჩემთვის დიდი წინსვლაა. მაგრამ, მეორე მხრივ, აქ ბევრი ძლიერი ფეხბურთელია და შესაბამისად დიდი კონკურენციაა. თუმც ფეხბურთში ეს სავსებით ნორმალური ამბავი.

**— ცნობილია, რომ „კობის“ რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში — რომელია თქვენი საყვარელი ამპლუა?**

— ჩემი მთავარი უპირატესობა დაცვითი თამაშია, ცენტრში ან მარცხნივ. ვფიქრობ, უფრო დაცვითი ტიპის ფეხბურთელი ვარ მიუხედავად იმისა, რომ „ფრაიბურგში“ უმეტესწილად შემტევის ფუნქციების შესრულება მიწევდა — ამას გულწრფელად გეუბნებით.

**— რას ელით დამდეგი სეზონისგან?**

— იმას, რომ „შალკესთან“ ერთად რაიმე ტიტულს მოვიგებ.

**დავით თავართქილაძე**

# ინტრიგის მატარებელს ხომ არ ჩაუვლია?




# გა დავრჩი! თქვა მარტო შუშაკმა







*თვენახევარიც და საქართველოში ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყება — ახალი ფეხბურთელებით, ახალი მწვრთნელებით, ახალი გუნდებით შევსებული მეთხუთმეტე ეროვნული კარს მოგვადგა, თუმც დასავიწყებლად ჯერ არც წინა გათამაშება გვემეტება.*

*რა უნდა ვთქვათ ახალი მეთოთხმეტე ჩემპიონატზე? ერთი შეხედვით არაფერი. ის, რომ თბილისის „დინამომ" სამწლიანი პაუზის შემდეგ დაიბრუნა ჩემპიონობა, რუსთავის „გორდა" პირველად გავარდა უმაღლესი ლიგიდან, თბილისის „მერანი" საერთოდ გაქრა და ასე შემდეგ, უკვე ქართული ფეხბურთის ისტორიამ შეისრუტა, მაგრამ...*

**წინა ჩემპიონატი** კიდევ ერთი რამით იყო დასამახსოვრებელი — სეზონი ხომ მოზღვავებულ უცხოელ მწვრთნელთა ქიშპში გაილია. ივო შუშაკი, ალექსანდრ შტელინი, ჯანი კარნევალი და ლუის ცაკარიასი — ამდენი უცხო მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონატში ერთდროულად არასოდეს გამოჩენილა. სიმართლე ვთქვათ, მათ ეროვნულ ჩემპიონატს თავისებური ხიბლი შემატეს. „დინამო", „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია" და „ლოკომოტივი" თითქმის ბოლო ტურებამდე ედავებოდნენ ერთმანეთს საუკეთესოობას.

ივო შუშაკმა „დინამოში" საქმიანობით სულაც ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებსაც მოაწონა თავი და ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაც დაიმსახურა.

შტელინი, კარნევალი და ცაკარიასი კი საქართველოს გაეცალნენ. ცხადია, ამ სამეულის დათხოვნის მიზეზი წარუმატებლობა იყო. კლუბების ხელმძღვანელებმა თავად მიიღეს მათი გაშვების გადაწყვეტილება, თორემ დარჩენა სამივეს სურდა.

მივყვეთ თანმიმდევრობით: პირველად საქართველოს უკრაინელი სანსანიჩი გაეცალა. ქუთაისის „ტორპედოს" თავკაცმა სეზონი კარგად დაიწყო, თუმც მოგვიანებით გუნდში შექმნილ სირთულეებს თავი ვერ გაართვა. ჯერ „ტორპედოს" ლიდერ მალხაზ ასათიანთან მოუვიდა უთანხმოება, მერე პირობების გაუარესებაც ჭრილობაზე მარილის მოყრასავით დაემატა შტელინს. ბევრი მას სასელექციო ნიჭსაც უწუნებდა. საბოლოოდ, უკრაინელმა ვეღარ გაძლო, გუნდს სეზონის დამთავრებამდე დაეთხოვა და ქუთაისი დატოვა. მიზეზად სხვადასხვა რამ დასახელდა — მწვრთნელის აზრით, მას ასეთ პირობებში მუშაობა არ შეეძლო, კლუბი კი შედეგებს უწუნებდა. ერთი სიტყვით, გაყრა მაინც უმტკივნეულოდ შედგა. ახალმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ კი „ტორპედოს" სეზონი მეორე ადგილზე დაასრულებინა, რაც მყისვე დადებით შედეგად შეფასდა და ასეც იყო, „ტორპედოს" მეტი ნაღდად არ შეეძლო.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ შტელინამდე ეს ბერძენ-პერუელ-გერმანელ ლუის ცაკარიასს უნდა შემთხვეოდა. გაუგებარი წარმოშობის, ჩია, ულვაშა ცაკარიასმა ჩამოსვლისთანავე ბევრი ეჭვი დაბადა საფეხბურთო საქართველოში. საერთო აზრით საეჭვო კვალიფიკაციის სპეციალისტმა თითქოს თავიდან კი მიაჩუმა სკეპტიკოსები, „ლოკომოტივი" მოსაწონად აათამაშა, მაგრამ ცოტა ხანში მატარებელს ბორბლები დაუჟანგდა. ცაკარიასის კოსმეტიკურმა სამუშაოებმა და ვაგონების გადალებვამ ხეირი ვერ მოიტანა. ზანგი ნანა ეშუანიც ისეთივე უყისმათო გამოდგა, როგორიც მისი დამრიგებელი იყო. შესაძლოა, ბევრმა პერუელის უიღბლობა ფეხბურთელების ღალატსაც დააბრალოს, თუმც ცაკარიასის ბედი „დინამოსთან" გარიგებულად მონათლულ მატჩამდეც რომ გადაწყვეტილი იყო, საკამათო არ არის.

და ჯანი კარნევალი. იტალიელი, რომელსაც ურთიერთობა არ ეშლებოდა და ყველა მოსაუბრეს სასიამოვნო ემოციებს უტოვებდა. კარნევალის სიმპათიური „ვიტ ჯორჯია", რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე ჩემპიონობას უსწორებდა თვალს, საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა. კარნევალიმ ვერ შეძლო, გუნდისთვის პრინციპული თამაშის მოგება ესწავლებინა. „ვიტ ჯორჯიას" წარუმატებლობაც აქედან მოდის. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ინტერტოტოს საგზურით დაკმაყოფილებული ვეტერინარები სეზონის დასრულებისთანავე დაემშვიდობებოდნენ იტალიელს, თუმც მას კიდევ ერთი შანსი მიეცა. შანსი, რომელიც ვერ გამოიყენა — ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" ავსტრიულ „პაშინგთან" დამარცხდა.

გამოთავისუფლებული ადგილები უკვე დაკავებულია. სოსო ფრუიძე, რევაზ არველაძე და ზურაბ ბერიძე გუნდებს საახალსეზონოდ ამზადებენ. ბოლო წლებში ყველაზე დიდი ინტრიგის მატარებელი მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატი კი წარსულს ჩაბარდა. საინტერესოა, გაიყოლეს თუ არა ინტრიგა უცხოელმა მწვრთნელებმა და რა გველის ახალ სეზონში? ამას მალე ვნახავთ...

**ქახა შალამბერიძე**



# წასასვლელი იყოს და...

## თამაზ კოსტავაც ჩემპიონია და მისი დინამოც

**„ნორჩი დინამოელის"** საფეხბურთო სკოლას გამარჯვებები არც შინაურ სარბიელზე აკლია და არც უცხოურზე. ეგაა, ახალმა დროებამ უცხოური ტურნირები დაგვიძვირა ნამეტნავად.

თამაზ კოსტავასა და თენგიზ კაციას 1988 წელს დაბადებულთა გუნდმა წლეულს მეტრეველის თასი მოიგო. კოსტავას გუნდი „მარდი", ერთი წლით უფროსებში რომ თამაშობდა, მესხის თასის ნახევარფინალშიც გავიდა, სადაც „ნორჩ დინამოელთან" დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. თამაზ კოსტავა კი წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

ახლახან კი კოსტავამ და კაციამ შეგირდები უკრაინაში, საერთაშორისო ტურნირ „ობოლონ 2003"-ზე წაიყვანეს, ერთი წლით უფროსებს ეთამაშნენ და შინ ჩემპიონის თასითაც დაბრუნდნენ.

„დინამოს" ბიჭებმა ჯგუფში მოლდოვის გუნდს 3:1 მოუგეს, ვლადიკავკაზის „ალანიას" 1:0 სძლიეს, კიევის „სმენასთან" 1:1 იყო, იმავე კლუბის მეორე გუნდს კი ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს.

ნახევარფინალში ჩვენებურები ისევ „სმენას" შეეყარნენ და 1:0-ით ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ფინალში კიევის „არსენალის" ძლევა იოლი საქმე არ ყოფილა, მაგრამ, ბიჭებმა თავს აჯობესო, ამბობენ მწვრთნელები. „ნორჩმა დინამოელმა" 2:1 იმარჯვა, აჯობა ყველას, მასპინძლიან-მსაჯებიანად, თასიც თბილისში წამოიღო და საუკეთესო მოთამაშის პრიზიც ჩვენებურმა ზურაბ შერმადინმა დაისაკუთრა.

**მამუკა ძგანტალიანი**

# მერცხალი ბუდეს იშენებს

## გაბელაია კი ბარტყებს ითვლის

**საკმაოდ დიდი** არდადეგები გამოუვიდა უმაღლესში ახლადაღზევებულ „მერცხალს". ოზურგეთელების შეყოვნების მიზეზი კლუბის ბიუჯეტის განსაზღვრა ყოფილა. თურმე ათასჯერ გაზომეს გურულებმა თავიანთი ფინანსური შესაძლებლობები, ერთხელ გაჭრეს და გუშინწინ საახალსეზონოდ მზადებასაც შეუდგნენ.

„მერცხალის" ბიუჯეტს შარშანდელთან შედარებით არაფერი მოაკლდება, პირიქით, ცოტაც მოემატებაო, უთქვამთ კლუბის ხელმძღვანელებს. უმაღლესი ლიგისთვის ეს იქნებ საკმარისი არ იყოს, მაგრამ ნათქვამია, საბანი სადამდეც გაგწვდება, ფეხიც იქამდე გაშალეო.

სერგო გაბელაიამ ძირითადი ბირთვის სამი ფეხბურთელი მოიისაკლისა. გიორგი ქორიძე „ლოკომოტივშია", ირაკლი დოლიძე „სპარტაკში", ხოლო დავით არჩვაძის ასავალ-დასავალი არავინ იცის.

გაბელაიამ გუშინ ბათუმის „ლუკას" გააჯიბრა გასასინჯი მოთამაშეებით დაკომპლექტებული „მერცხალი", მართალია, 4:0 მოიგო, მაგრამ ყველა ბედისმაძიებელი დაითხოვა. მწვრთნელის თქმით, დათხოვნილების გზას 10 მოთამაშე ღლესაც დაადგება. ოზურგეთში გასინჯვები 13 ივლისს დასრულდება, 14-დან კი „მერცხალი" 12-დღიან შეკრებაზე წავა ურეკში და პირველ



სერგო გაბელაია

საჩემპიონატო საშინაო მატჩსაც იქიდან ახალჩამოსული ითამაშებს.

„მერცხალის" ძირითადი სარბიელი სადღეისოდ ფედერაციისგან დაწუნებულია. ოზურგეთელებიც საქმეს შესდგომიან, გასახდელების, ტრიბუნის და საშხაპეების რეკონსტრუქცია უკვე დაიწყოო, გვითხრა გაბელაიამ. თუ ჩემპიონატის დაწყებამდე გურულებმა ივაჟკაცეს, ხომ კარგი, არადა, რამდენიმე საშინაო მატჩის სხვაგან ჩატარება მოუწევთ.

**მამუკა ძგანტალიანი**

## ჰიონესს ინტელიგენტური სიკვდილი ემუქრება





# დაგხოცავთ!

## სალიჰამიჯიჩმა ჰიცფელდი შეაშინა

მიუნხენის „ბაიერნი“ ორმოცდამეერთე ბუნდესლიგისთვის ლაიფციგში ემზადება. ოტმარ ჰიცფელდის მათრახი 27 ფეხბურთელს ატყავებს და ოფლს აცლის. მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თერთმეტმა უნდა ითამაშოს. მოედანზე გასვლა კი ყველას უნდა.

ჩემპიონები ისე მონდომებით ვარჯიშობენ თერთმეტეულში დასამკვიდრებლად, რომ არც საკუთარ თავს ინდობენ და არც თანაგუნდელებისას.

როგორც ყოველთვის, მოუღლელობით ჰასან სალიჰამიჯიჩი გამოირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯვარედინი მყესების ტრავმა ახალმოშუშებული აქვს.

ოტმარ ჰიცფელდს ვარჯიშზე მისი დაშოშმინება უკვე რამდენჯერმე დასჭირდა. „ის ზედმეტად აქტიურია და უნდა შეიგნოს, რომ წინ მთელი სეზონი გველის“ — თქვა მწვრთნელმა. ბოსნიელი კი დასვენებას არ აპირებს „სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ვერ წარმომიდგენია“.

მწვრთნელ-ფეხბურთელებს არა უჭირთ, მაგრამ კლუბის მენეჯერ ული ჰიონესს და „ბაიერნის“ ყოფილ მეკარე რაიმონდ აუმანს ვილაცეები ელექტრონული ფოსტით ემუქრებიან. ჯერ ხუმრობა ეგონათ, მერე კი, როცა მუქარა გახშირდა: „ეს სასაცილო აღარაა, ვითარება ისე დაიძაბა, რომ ძილი გამიკრთა“ — თქვა აუმანმა.

ული ჰიონესმა კი დაასკვნა: „ვინც ჩვენ მოკვლით გვემუქრება, საკმაოდ ინტელიგენტი ხალხია. ასეთები კი გაცილებით სახიფათონი არიან“.

**მაშა ხუციშვილი**

# კანი ცოტა გამოყრუვდა



„ბაიერნის“ კაპიტანი და მეკარე, ოლივერ კანი მარცხენა ყურით დაყრუვდა და საავადმყოფოს მიაკითხა. ახლა, წესით, ყველაფერი უკვე კარგად უნდა იყოს.

„იმედი მაქვს, პრობლემა უკვე მოგვარებულია — თქვა ლაიპციგში თავისი გუნდის ვარჯიშის მოედნის კიდიდან შემყურე კანმა — ჩემს მარცხენა ყურსა და პირად ცხოვრებას ფეხბურთში შემოჭრის ნებას არ მივცემ“.

პირადი ცხოვრება კი ისაა, რომ კანზე ამბობენ, ფეხმძიმე ცოლის ქმარს ბარის „ოფიციანტკა“ შეუყვარდაო.

„სპორტი მთავარია, მაგრამ ისიც მესმის, რომ საზოგადოება ჩემი ინტიმური ამბებით დაინტერესდა. ცხადია, ბევრი შეცდომა დავუშვი“.

ერთი სიტყვით, დროებით დაყრუებული კანი ამჯერად მხოლოდ „ბაიერნზე“ აპირებს ფიქრს და სეზონის დასაწყისიდანვე დიდ ბრძოლას გვპირდება.

**პაპუნა ძიძია**

# შენ როსდა აყვავდები?

## ზღვა გაქვთ? არა. ჰოდა, რონალდინიო ჩვენია

*მოგეხსენებათ, „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნები ახალგაზრდა იურისტმა ხუან ლაპორტამ ოდენ ბრწყინვალე დაპირებების მოხერხებული ლავირებით მოიგო. მერე ხანი გავიდა და კატალონიური სატრანსფერო ზეცა მადრიდული შავი ღრუბლებით დაიფარა. დევიდ ბექჰემის „მოტაცებამ“ „ბარსას“ გულშემატკივრები მძიმე საფეხბურთო კაეშანში ჩააგდო, თუმცა, როგორც ჯიგიტ ინჩასებს შეეფერებოდათ, გულს არ იტეხენ და უკეთესი ამინდის მოლოდინში კასტილიურ ჩრდილში მოთმინებით ცდას ამჯობინებენ.*

გუშინ „კამპ ნოუს“ შემოგარენში მზე მთელი სიკაშკაშით არ ანთებულა, მაგრამ იქაურობას ერთი მადლიანი სხივი მაინც გაუგზავნა. პატარა რონალდო, ანუ რონალდინიო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა კატალონიაში ბურთაობის პერსპექტივასთან.

მოგეხსენებათ, „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი პარიზელებს შეუთანხმდა, რონალდინიოს გაისად წაგგვრითო, გუშინ კი ფრანგულმა სააგენტო AFP-მ მთელ საფეხბურთო სამყაროს დიდი ბარსელონური შეთავაზების შესახებ ამცნო — ხუან ლაპორტას დირექცია მზადაა, პარიზულ კლუბს რონალდინიოში 30 მილიონი ევრო გადაუხადოს.

მალევე ეს ინფორმაცია პსჟ-ს ოფიციალურმა წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. მათი თქმით, კატალონიური გრანდი თანხის 90 პროცენტს ფულად გადაიხდის, ხოლო დანარჩენ ნაწილს კი რომელიმე ფეხბურთელით (რიკელმეთი ან კრისტენვალით) დაფარავს. გალების აზრით, ეს შესანიშნავი გარიგება იქნება.

„რონალდინიო მეც ძლიერ მომწონს და ჩვენს მწვრთნელებსაც. მისი „ბარსელონაში“ გადმოყვანის პროცესი თანდათანობით მიმდინარეობს. ახლა სრული სიმშვიდეა საჭირო, ყოველგვარი აჟიოტაჟი საქმის ჩაშლას თუ შეუწყობს ხელს“ — განაცხადა კატალონიელთა ვიცე-პრეზიდენტმა როსელიმ.

პსჟ-ს კარგი ცენტრალური მცველი სჭირდება, ამიტომაც სავარაუდოდ კრისტენვალის კანდიდატურაზე მსჯელობა არ გაჯანჯლდება, აი, რიკელმეს შემთხვევაში საქმე უფრო რთულადა იქნება.

მოსალოდნელია, უახლოეს მომავალში ბარსელონურ-პარიზული პაემანი შედგეს და ყველა ეს საკითხი დაზუსტდეს.

ესე იგი, გამოდის, რომ თუ მარადიულმა მტერმა „რეალმა“ რონალდინიოზე საბოლოოდ აიღო ხელი, ახლა კატალონიელთა მეტოქე მხოლოდ ალბიონური „მანჩესტერია“, რომელსაც თამამად შეუძლია, ისე-




დაც ეიფორიაში ჩავარდნილი ფრანგები უფრო მეტი გირვანქებისა თუ ევროების ფრიალით გადარიოს. თუმცა ჯერ პატივცემულ ბარსელონელ სენიორებს მოვუსმინოთ.

სანდრო როსელი: „იუნაიტედს“ პარიზელთათვის ჩვენზე გაცილებით მეტის შეთავაზება არ შეუძლია და საერთოდ, დარწმუნებული ვარ, სატრანსფერო საზღაურში მცირედი განსხვავების შემთხვევაში რონალდინიო ჩვენთან გადმოსვლას არჩევს. მანჩესტერი არ არის ქალაქი, სადაც ბრაზილიელი თავს კარგად იგრძნობს, იქ მუდმივად წვიმს და ზღვაც არ არის ახლომახლო.“

ხუან ლაპორტა: „სატრანსფერო მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და იმედი მაქვს, წარმატებითვე დაგვირგვინდება.“

**ლადო ხომერიკი**

*ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტის ბედის გადასაწყვეტად „ბარსელონას“ თავკაცნი მომავალ ორშაბათს ითათბირებენ. გუშინ კი ფეხბურთელის წარმომადგენელმა სიჯი ლენსმა კლუბის გენერალურ დირექტორს ხავიერ პერეს ფრაგელის დაურეკა და უთხრა, პატრიკი უკვე მზადაა, „ბარსას“ უფროსობას საბოლოო პასუხის გასაცემად შეხვდესო.*



პატრიკ კლუივერტი ფრანკ რაიკარდის ხელში გაიზარდა



დიეგო პლასენტე

# კლუივერტი მორჯულდა

## პლასენტე: ბარსა? ვინ სულელი...

ლენსი თავგამოდებით ირწმუნება, კლუივერტი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ რთული საკითხის გადაჭრას და შეძლებისდაგვარად ხუან ლაპორტას დირექციას უხერხულ სიტუაციაშიც არ ჩააგდებსო. მოგეხსენებათ, ამას წინათ გუნდის ულტიმატუმზე ჰოლანდიელმა საკმაოდ ბუნდოვანი პასუხი გასცა და „ბარსას“ მამების უკმაყოფილებაც დაიმსახურა.

კატალონიური გრანდის გენერალურმა დირექტორმა სამომავლო შეხვედრის ფაქტი CANAL BARCA-ს არხზე გამოსვლისას დაადასტურა: „კლუივერტს უკვე შევუთანხმდით და ორშაბათს მისი კლუბში დარჩენა-არდარჩენის შესახებ ვისაუბრებთ.“

„ბარსა“ კი ამასობაში დროს უქმად არ კარგავს და დაცვის ხაზის გასაძლიერებლად ოკეანისგაღმელ დიეგო პლასენტეს ეპატიჟება. თავის დროზე ჯერ სერა ფერერი, ხოლო მერე ლუის ვან გაალი ცდილობდნენ არგენტინელის ხელში ჩაგდებას, ახლა მათ რიცხვს ფრანკ რაიკარდიც შეემატა.

პლასენტემ ფეხბურთის თამაში „ხუვენტუდეში“ დაიწყო, რამდენიმე პატაგონიური კლუბი გამოიცვალა და საბოლოოდ „რივერ პლეიტიდან“ გერმანულ „ლევერკუზენში“ ამოყო თავი. სხვათა შორის, „რივერში“ მასთან ერთად სავიოლა, აიმარი, სორინი და ბონანო ბურთაობდნენ.

მართალია, პლასენტეს კატალონიური კარიერა ჯერ ოდენ ემბრიონის დონეზეა და სატრანსფერო თანხაზეც სიტყვა არ თქმულა, მაგრამ ყოვლისშემძლე კატალონიური „სპორტი“ უკვე აცნობებს თავის მკითხველს არგენტინელის ბარსელონური სიმპათიის შესახებ.

„გერმანიაში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ვინ სულელი იტყვის უარს „ბარსელონაში“ თამაშზე“ — უთხრა პლასენტემ „ბარსას“ მთავარ მებაირახტრე გაზეთს.

**ლადო ხომერიკი**

# !ევროპა ისევ გადანაწილდა!

უეფამ აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე, რომელიც მისსავე შტაბბინაში, შვეიცარიულ ნიონში გაიმართა, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: 2004-05 წლების სეზონიდან უეფას თასზე ჯგუფური ეტაპი იქნება.

ახალი ფორმატი ასეთია: გათამაშება საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყება და მასში თავდაპირველად 80 გუნდი ჩაებმება. სტანდარტული, ორმატჩა პლეი ოფის გზით ძირითად ეტაპზე 40 გუნდი გავა.

ეს 40 გუნდი 8 ჯგუფში განაწილდება, თითოეულში კი 5 გუნდი იქნება. ისინი ერთ წრედ შეხვდებიან ერთმანეთს, ანუ თითოეული გუნდი ორ მატჩს შინ ჩაატარებს, ორსაც — სტუმრად.

ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო, ანუ ჯამში 24 გუნდი გავა. მათ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გავარდნილი 8 გუნდი დაემატება. ეს 32 გუნდი კი 1/16 ფინალიდან განაგრძობს ბრძოლას.

გუშინვე უეფამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის შესარჩევი ეტაპის ფორმატიც დაამტკიცა.

51 ევროპული ქვეყანა (52-ე გერმანია მუნდიალის მასპინძელია) 8 ჯგუფად განაწილდება. სამ ჯგუფში 7-7 ქვეყანა მოხვდება, ხუთ ჯგუფში კი ექვს-ექვსი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ავტომატურად გავლენ ჯგუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი. დანარჩენი ექვსი მეორეადგილოსანი კი პლეი ოფის გზით სამ ადგილსაც გაითამაშებს.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც ამავე სქემით გაიმართება.

**გიორგი დარჯანია**



ჟოაო აველანჟმა რიკარდო ტეიშეირას მუდმივი პრეზიდენტობა უანდერძა

# ბლატერს ევროპა ეცოდება



**ფიფას** პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ის კაცია, რომელსაც რევოლუციური იდეები არასდროს ელევა. აი, მისი ახალი ინიციატივა: ევროპული ქვეყნების უმაღლეს დივიზიონებში გუნდების რაოდენობა 16-მდე უნდა შემცირდეს. ბლატერის ეს იდეა ჯერჯერობით მხოლოდ იდეაა და მისი განხორციელების პერსპექტივაზე ფიფას აღმასკომელები ოქტომბერში იმსჯელებენ, როცა სხდომის ჩასატარებლად ყატარის დედაქალაქ დოჰაში შეიკრიბებიან.

— ამგვარი რეფორმის გატარება, ვფიქრობ, აუცილებელია — განმარტა ბლატერმა — კალენდრები საშინლად გადატვირთულია, რაც ფეხბურთელთა ჯანმრთელობას ვნებს. მე ვესაუბრე რამდენიმე კლუბის პრეზიდენტს და მათი სურვილიც თამაშების რაოდენობის შემცირებაა. თუმც ამასთანავე მესმის, რომ ამ იდეის ხორცშესხმა იოლი არ არის. სხვა რომ არაფერი, ჩემპიონატებს სპონსორები ჰყავთ და მათთან კონტრაქტების გადასინჯვა გახდება საჭირო. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წლის მერე მაინც, ევროპული ქვეყნები 16-გუნდა ჩემპიონატებზე გადავლენ.

მოგეხსენებათ, ევროპის მთავარ ჩემპიონატებში ზოგან 18 (იტალია, გერმანია), ზოგან კი სულაც 20 (ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი) გუნდი თამაშობს. აი, რას ამბობს ბლატერის იდეის თაობაზე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანი ადრიან ბევინგტონი: „ის, რასაც ბლატერი ამბობს, ამ მომენტისთვის მხოლოდ ჩანასახში მყოფი იდეაა, ამიტომ მასზე სერიოზულ მსჯელობას უახლოეს მომავალში არ ვაპირებთ. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ეს იდეა კანონად იქცა, ჩვენ, როგორც ფიფას წევრი ასოციაცია, მას დავემორჩილებით".

**ირაკლი ნინიძე**

# რიკარდო ხარ თუ...

## ტეიშეირამ სამუდამო პრეზიდენტობა მიისაკუთრა

**ბრაზილიაში** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. ზედიზედ მეხუთედ რიკარდო ტეიშეირამ გაიმარჯვა, რომელიც პრეზიდენტობის გარდა იმითაა ცნობილი, რომ ფიფას ოდინდელი დიდი პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის ყოფილი სიძეა.

1989-ში სიძებატონმა ძვირფასი სიმამრის ფულით და სახელით საპრეზიდენტო სავარძელი პირველად მოირგო. მას მერე თოთხმეტი წელი გავიდა, მაგრამ მისი ტახტის გამტოკებელი კაცი არ გამოჩნდა.

ტეიშეირამ ამ ხნის განმავლობაში მძლავრი კლანი ჩამოაყალიბა, თავად კი ერთპიროვნული მბრძანებელია. არჩევნებსაც მის დაკრულზე ატარებენ. პოსტის შენარჩუნებას ნებისმიერი ხერხით ცდილობსო, ასე ფიქრობს რიგითი ბრაზილიელი გულშემატკივარი.

ორიოდ წლის წინ რიკარდო ტეიშეირა გადასახადების დამალვაში ამხილეს. სასამართლოში საქმეც შეკერეს, მაგრამ საბოლოოდ ძვრა ვერ უყვეს. გაქნილმა პრეზიდენტმა მართლმსაჯულება ფინტებით ჩამოიცილა.

არჩევნებმა ამჯერადაც სიძეყოფილის დამფა-ზურნით ჩაიარა. მას მხოლოდ ერთი მოცილე ჰყავდა. 47 ამომრჩევლიდან 46-მა თავისი ხმა ტეიშეირას უწილადა, ერთი კი კონკურენტს, კარლოს ალბერტო ოლივეირას ერგო.

ოლივეირას დამქაშთაგან ერთმა, იტამარ ვასკონსელოსმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ქალაქ ბელუ ორიზონტის სასამართლოში იჩივლა — ტეიშეირისტებმა არჩევნები გააყალბეს, სინამდვილეში საჭირო ქვორუმი არ მოგროვდაო.

მოსამართლე საჩივარს გაეცნო, განიხილა და არჩევნების სიყალბე დაადგინა.

განაჩენის გამოტანიდან ოთხ საათში პრეზიდენტის მომხრეებმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და ამჯერად უკვე ტეიშეირისტები გაამართლეს. მოკლედ, რიკარდო ტეიშეირა ხუთი წლით კვლავაც იბატონებს.

არჩევნებში 27 რეგიონალური ფედერაციისა და 22 კლუბის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მეორე და მესამე დივიზიონის გუნდებს კი საერთოდ ყური არ უგდესო, გაჰკიოდა ალბერტო ოლივეირა, მაგრამ ამაოდ.

რიკარდო ტეიშეირამ კი ოპონენტებს ეს უთხრა: „კიდევ რამდენი კაცი იცით, რომლის პრეზიდენტობისასაც მისი ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სამჯერ ზედიზედ გავიდა და ორჯერ ოქროს თასიც მოიგო?"

**გაგა ხუციშვილი**

# ფიესტა არ მეორდება
## ვაი ასეთ იუბილეს

**არგენტინელებს** თავისი პირველი მსოფლიოს ჩემპიონობა გაახსენდათ და 25 წლის თავზე საიუბილეო მატჩი გამართეს. ერთმანეთს მაშინდელი ჩემპიონები და ახლანდელი ნაკრები უნდა შეხვედროდნენ. შეხვდნენ კიდეც, მაგრამ ლუის სესარ მენოტის დროინდელი გუნდიდან სათამაშოდ მხოლოდ სამნი გამოცხადდნენ — უბალდო ფილოლი, ალბერტო ტარანტინი და დანიელ ვალენსია.

სამხრეთ ამერიკაში ახლა ზამთარია, მაგრამ ცხადია, ისე არ ცივა, როგორც ციმბირში. მიუხედავად ამისა, სტადიონი არ გადაჭედილა. ფეხბურთის საყურებლად ოდენ 6 ათასი კაცი მივიდა, თანაც მათი უმეტესობა სტადიონზე სულ სხვა რამემ მიიყვანა.

მათ პლაკატები მოემარჯვებინათ და იმ სამხედრო რეჟიმის წევრთა და მომხრეთა დასჯას ითხოვდნენ, რომლებმაც შვიდი წლის (1976-1983) განმავლობაში ვინ დათვლის, რამდენი სისხლი დაღვარეს. არგენტინის ნაკრები სწორედ იმ დიქტატურის წლებში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.



გაბრიელ ბატისტუტა

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონთაგან ოდენ სამმა ითამაშა. არადა, ოფიციალურად მატჩზე ყველა ჩემპიონი იყო დაპატიჟებული, მაგრამ მათ რატომღაც იუარეს.

საბოლოოდ ძველების და ახლების ბურთაობა ძველთა 2:5 მარცხით დასრულდა. სამი გოლი ფიფას მიერ საკლუბო ფეხბურთიდან ექვსი თვით მოკვეთილმა არიელ ორტეგამ გაიტანა, ორიც გაბრიელ ომარ ბატისტუტამ, რომელიც კარიერას ალბათ ყატარში გააგრძელებს.

ეროვნული გუნდის მაისურით „ბატიგოლს" 78 შეხვედრაში 57 ბურთი გაუტანია და ამ მაჩვენებლით უბადლოა. მატჩის შემდეგ მას საგანგებო ჯილდო გადასცეს, თავად ფეხბურთელმა კი თქვა: „ჩემი კარიერა დასრულდა". თუმც იქვე ხუმრობით დასძინა, რა ვიცი, ჯანზე თუ ვიქნები, ეგებ სამშობლოს კიდევ გამოვადგეო.

იუბილე იუბილედ, მაგრამ ამჟამინდელი ნაკრების თავკაც მარსელო ბიელსას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა თვალში არ მოსდის. „ელ ლოკოდ" (გიჟი) მონათლულმა მწვრთნელმა ჩინოვნიკები შეაჯანჯღარა. მე ფეხბურთელების ჩამოწიკწიკებულ ნუსხას გიგზავნით, თქვენ კი მათი გამოძახება ან გეზარებათ ან არ გსურთო: „მოთამაშეებისთვის მოსაწვევების ჩამორიგება ჩემი მოვალეობა არ არის. ამ საქმეს ფედერაციაში სერიოზულად უნდა მიხედონ".

**გაგა ხუციშვილი**



25 წლის წინ მსოფლიოს თასი დანიელ პასარელამ სამხედროებს ჩააბარა



გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ ინგლისში მომუშავე ორი ფრანგი, „ლივერპულის" მენეჯერი ჟერარ ულიე და „არსენალის" მენეჯერი არსენ ვენგერი ბრიტანეთის იმპერიის ორდენებით დააჯილდოვა.

ბრიტანეთის იმპერიის ორდენი უბრალო რამ არ გეგონოთ.

დაჯილდოებისას მინისტრმა თქვა, ულიეს და ვენგერს უდიდესი დამსახურება მიუძღვით ინგლისელი და ფრანგი ერების დაახლოების საქმეში, ხოლო ინგლისური ფეხბურთის წინაშე იმხელა დამსახურება აქვთ, ვერაფრით აიწონებაო.

# ჩახედეთ კარგ ბიჭებს სულში და გულში

*ახალი თაობის მწვრთნელთა შორის გამორჩეული რამდენიმე. ერთ-ერთი მათგანი „ლაციოს" თავკაცი, ახლო წარსულში ჩინებული ფორვარდი, რობერტო მანჩინი გახლავთ. გთავაზობთ მანჩინის მიერ ინგლისური „უორლდ სოკერისთვის" მიცემული ინტერვიუს ფრაგმენტებს.*



რობერტო მანჩინი

**— „ლაციოში" უამრავი მინდორსგარე პრობლემაა, თქვენ კი ფეხბურთელების საქმეზე მომართვას ახერხებთ. როგორ ხდება ეს?**

— რასაკვირველია, ჩემი ფეხბურთელები კომპანია „ჩირიოში" შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას განიცდიან და სრულიად ბუნებრივია, რომ ნერვიულობენ კიდეც, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, თუ რა ხდებოდა წინა სეზონის დასაწყისში, როდესაც ფინანსური სირთულეების ამბავი გახმაურდა და გარშემო ყველამ „ლაციოს" ჩავარდნა იწინასწარმეტყველა. დამეთანხმებით, გუნდმა სინამდვილეში ძალიან კარგად ითამაშა, რაც ფეხბურთელების სულში თუ გულში კიდევ რაღაცის არსებობაზე მეტყველებს. თუ გნებავთ, ამ რაღაცას სიამაყე ან თავმოყვარეობა დაარქვით. ესე იგი, როდესაც საქმეები ცუდად მიდის, შენ ძალ-ღონეს იკრებ და კარგად თამაშობ.

**— თქვენს მიღწევათაგან ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი დეიან სტანკოვიჩის, სინიშა მიხაილოვიჩის, სტეფანო ფიორეს, სეზარის და კლაუდიო ლოპესის ხელახლა გამოცოცხლება იყო. შარშანწინ ხომ ისინი თითქოს ჩამოწერილები იყვნენ. როგორ მოახერხეთ ეს?**

— ისინი კარგად იმიტომ თამაშობენ, რომ კარგი ფეხბურთელები და კარგი ბიჭები არიან. ალბათ, ახლა მეტყვით, რომ კარგი ფეხბურთელები ყოველთვის კარგად არ თამაშობენ, მაგრამ კარგ ფეხბურთელებს და მათ რიცხვში თქვენს მიერ ჩამოთვლილებს ცუდი პერიოდებიც აქვს ხოლმე და ისინი კარგები სწორედ იმიტომ არიან, რომ ასეთი პერიოდები გადალახონ. თქვენს მიერ ჩამოთვლილებს მხოლოდ მოედნიდან კი არა, ცხოვრებიდან ვიცნობ, ვიცი, რას ფიქრობენ, რა შეუძლიათ და ამიტომ მათი კარგი თამაში ჩემთვის გასაკვირი არ არის.

**— თქვენს ფეხბურთელთა შორის ბევრი სამი წლის წინაც „ლაციოში" იყო, როცა თავად თამაშობდით. ეს უპირატესობაა?**

— სხვა მწვრთნელებისთვის იქნებოდა თუ არა უპირატესობა, ვერ გეტყვით, ჩემთვის კი აშკარად უპირატესობაა. ჩემსა და ბიჭებს შორის ერთად თამაშის დროს დიდი მეგობრობა ჩამოყალიბდა და ეს დღესაც გრძელდება. ვგონებ, ყველა ფეხბურთელს სჭირდება დაფასება, თანადგომა და, როდესაც მწვრთნელი აგრძნობინებს, რომ მისკენაა და მისი წარმატება ახარებს, იგიც საუკეთესო თამაშით პასუხობს.

**— ევროპული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, იტალიური ფეხბურთი საერთაშორისო მწვერვალს დაუბრუნდა. რას იტყვით ამაზე?**

— არა მგონია, იტალიური ფეხბურთი საიდანმე დაბრუნებულიყო, რადგან არსად წასულა. ცხადია, ყოველთვის იქნება წლები, როდესაც ნაკლებ ჯილდოს მოიპოვებ, მაგრამ იქნება 80-იანი და 90-იანი წლების მსგავსი პერიოდებიც, როდესაც იტალიური კლუბები დომინირებდნენ.

**— ფეხბურთელობა გენატრებათ?**

— ცხადია, მაგრამ თუ იღბლიანი მწვრთნელი ვიქნები, მაშინ მონატრებას მძაფრად აღარ განვიცდი.

**— ფეხბურთელობის წლებიდან რაზე გწყდებათ გული?**

— გული რამეზე თუ მწყდება? არა, არაფერზე.

# ფრანკო სენსი დააკივლეს

„რომას" პრეზიდენტი ფრანკო სენსი ფიფამ პირშიტრანსფერგამოვლებული დატოვა.

რომაელები ჯერ ბრაზილიელ ლუსიოს ეკურკურებოდნენ. თითქოს გადაიყვანეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ლუსიო ლევერკუზენის „ბაიერში" დარჩა.

მერე აიაქსელ კრისტიან კივუს გადასწვდნენ და ბევრი გაწამაწიის შემდეგ კინაღამ კონტრაქტზე ხელი მოაწერინეს. რუმინელ ფეხბურთელს კალამი ხელზე შეეყინა. მის სანაცვლოდ ამსტერდამულმა კლუბმა 18 მილიონი ევრო სამი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ უნდა მიიღოს. თავად კივუ „რომაში" ხუთ სეზონს თუ გაატარებს, დაახლოებით 16 მილიონს ჩაიჯიბავს. ეს ყველა პირობა როგორც იყო ქაღალდზე, ჯერჯერობით ასევე დარჩა.

მიზეზი თურმე რომაელთა ვალი ყოფილა. მათ პერუს „სპორტინგ კრისტალიდან" გუსტავო ვასალო ფერარი წაიყვანეს და კლუბს შეპირებული ფული არ გადაუხადეს.



გუსტავო ფერარი

ურჩ გადამხდელებს პერუელებმა ფიფაში უჩივლეს, ჩვენს კუთვნილს არ გვაძლევენ, ამსტერდამელებს კი 18 მილიონს ჰპირდებიან, ეს სადაური წესიაო. ფიფელებმა კრისტიან კივუს კონტრაქტი დროებით დაამუხრუჭეს. ფრანკო სენსის შეუთვალეს, ჯერ სამხრეთამერიკელები გაისტუმრე, კივუ მერე იყოსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გული? ექვი დარჩა



უბედურმა ფოემ თავისი სიკვდილის საიდუმლო იმქვეყნად წაიღო

ლიონის პროზექტურის ექსპერტმა ქსავიე რიშომ ცხედრის ორჯერ გაკვეთის შემდეგ დაადგინა, რომ მარკ ვივიენ ფოე გულის შეტევით გარდაიცვალა. ტოქსიკოლოგიურმა ანალიზმა სტიმულატორის გამოყენება გამორიცხა.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების ექიმი ჟან მიშელ ფერე ამტკიცებს, ფეხბურთელს კარგად ვიცნობდი და გულის ბრალი არ უნდა იყოსო. არადა, ტრაგედიის მეორე დღესვე თვითონ თქვა, აორტის ანევრიზმამ იმსხვერპლაო, რაც გამომავალი აორტის კედლის შეთხელებას და გასკდომას გულისხმობს.

ამჯერად ჟან მიშელ ფერემ ასეთი ვარაუდი გამოთქვა: „ლიონში" ფეხბურთელის გადმოსვლის დღეს ჩვენ მისი ჯანმრთელობა შევამოწმეთ და გული სრულ წესრიგში ჰქონდა. გაკვეთის შედეგად დადგენილი მიზეზი საეჭვო მგონია".

ქსავიე რიშომ მიზეზად გულის მარცხენა პარკუჭი ახსენა და აღნიშნა, ფოეს თანდაყოლილი ავადმყოფობა ჰქონდა და მისი ყოფილი გუნდების ექიმებმა ეს ამბავი იცოდნენ თუ არა, ჩემთვის უცნობიაო.

ქსავიე რიშოც ლიონში ცხოვრობს და ჟან მიშელ ფერეც, განა ერთმანეთთან შეხვედრა და ყველაფრის უკეთ გარკვევა არ შეეძლოთ? მაგრამ რატომღაც... მოდი და გაიგე. უმჯობესი იქნება, ცხონებული იმქვეყნად აღარ შეაწუხონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნაკატა რა კაცია?

## ნამცხვარს ჭამს და ბიუჯეტს ავსებს

**იაპონელი** ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა სამშობლოს დაღმავლობის გზაზე შემდგარ ეკონომიკას მხარში ამოუდგება.

„მინდა იაპონური ფირმების და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ჩემი წვლილი შევიტანო" — განაცხადა იტალიური „პარმას" 26 წლის ფეხბურთელმა, ჩვენ კი შევეცადოთ იაპონური ეკონომიკის დაღმავლობაზე მსჯელობისას ღიმილი შევიკავოთ.

საქმე ის გახლავთ, რომ იაპონურ ეკონომიკას, სპეციალისტთა გამოთვლებით, რაღაც-რაღაც პარამეტრები გაუუარესდა და შესაძლოა კიდევ გაუუარესდეს, რაც სხვა არაფერია თუ არა დაღმასვლა, თორემ იაპონია საქართველოსავით არისო, არავის უთქვამს — საქართველოში რაც არის, იმას დაღმავლობა არ ჰქვია, ასე რომ, შედარება არასწორია.

ნაკატას მისია კი ტკბილეულისა და ნუგბარ-ნუგბარის ფირმა „ტოჰატოს" გაცოცხლებაში ყოფილა. ფირმა მარტში გაკოტრდა, შემდეგ ხელმძღვანელობა გამოიცვალა და ახალ ცხოვრებას იწყებს.

ნაკატა, ინგლისელი დევიდ ბექჰემისგან განსხვავებით, რეკლამებში თამაშით არ იქნება დაკავებული, იგი ყოველთვიურად რამდენიმე ტელეკონფერენციას გამართავს, კორპორაციას ახალ-ახალი განშტოებების შექმნაში დაეხმარება და სხვა საქმიანობას გასწევს.

ცხადია, ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ნახევარმცველი ბურთაობას თავს ანებებს, მით უფრო, რომ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" მტკიცებით, იგი ზომა-წონით მსოფლიოში მეექვსე შემოსავალს იღებს — ფეხბურთელებს შორის, ცხადია. ყოველწლიურად ნაკატას საბანკო ანგარიში 9,36 მილიონი ევროთი ანუ 10,62 მილიონი დოლარით იზრდება. რაც შეეხება „ტოჰატოში" ასაღებ გასამრჯელოს, სამი წლის მანძილზე წელიწადში 101 900 დოლარი იქნება.



**ბაბუნა ბედია**


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## ჯორჯ ბესტი

# აკენწლე, ბიჭუნა, აკენწლე!

## ყველაზე კაშკაშა ბრიტანელი, რომელმაც ფეხბურთი ღვიძლივით ამოიკვეთა







უმორჩილესად გთხოვთ, ერთი წუთი არ იფიქროთ, რომ ამ წერილში ჯორჯ ბესტის სრულყოფილი პორტრეტი ჩავტიეთ. ასეთი რამ შეუძლებელია და აქვე გეტყვით რატომაც: იმიტომ, რომ ბესტზე ყველაფერი ცნობილია! მისი ყოველი დღე აღრიცხულია, მისი გატანილი თითოეული გოლი ჩანიშნულია, მისი გადახუხული თითოეული ჭიქა ცალკე სათაურით თუ არა, ქვესათაურით მაინცაა გამოყოფილი რომელიმე გაზეთში — ბრიტანეთში ძნელია ცნობილ კაცად ცხოვრება, — მისი ნაკოცნი თითოეული ქალი გამოკითხულია, რა მოხდა და როგორ, მისი სპირტისგან გადამწვარი, გადაგდებული ღვიძლი საჯაროდ გამოტირებულია, ხოლო საბრალო დონორის ჯანსაღი ორგანო დიდი პატივით მიღებული და შეთვისებული, მისი ცხოვრება გიჟური, ალბათ, შეცდომებით სავსე, მაგრამ ძალიან გადაშლილი წიგნია, ხოლო ჩვენ, უფალო მკითხველო, ამ წიგნის ერთ წერილამდე თან სრულყოფილად შემჭიდროებას ნუ მოგვთხოვ, რადგან, ჯერ ერთი ამას გენიოსი სჭირდება და მეორეც, საამისოდ გენიოსმა — თუკი ასეთს იშოვნით — მთელი თავისი დრო ჯორჯ ბესტის ბიოგრაფიას უნდა მიუძღვნას, ეს კი, მოგვიტევეთ, გენიოსობაზე მეტად იდიოტობა გვგონია.

ისე კი, დიდი ხანი არ არის, რაც ბესტს ჰკითხეს: მართალია, რომ თქვენი ფული სასმელს, მანქანებს და ქალებს მიაფლანგეთ? მან უპასუხა: ოთხმოცდაათი პროცენტი სასმელში, მანქანებსა და ქალებში დავხარჯე, დანარჩენი კი მივაფლანგე.

ბესტი გახლავთ ჩრდილოირლანდიელი, ბელფასტში დაბადებული ყოფილი დიდი თავდამსხმელი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედში" 11 წელიწადი გაატარა, გახდა ინგლისის ორგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ჩრდილო ირლანდიის ნაკრებში ითამაშა 37-ჯერ და, რამდენადაც საქართველოში ვიცით, აქედან ერთხელ ცუდად, როდესაც სსრკ ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მის პირისპირ ქართველი მცველი რევაზ ძოძუაშვილი იდგა. მას „მეხუთე ბიტლს" უწოდებდნენ და, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ბრიტანეთის ვარსკვლავებით მდიდარ ისტორიაში, ალბათ, ყველაზე კაშკაშა — დიადი კი არა, ჯენტლმენი კი არა, ღვაწლმოსილი კი არა, სამაგალითო კი არა, — ყველაზე ნაპერწკლიანი და შემოქმედებითი ის იყო, ოღონდ ძველი ღვიძლით.

ჯორჯ ბესტის ზოგადი დახასიათებისთვის ასეთ ციტატას მოვიშველიებთ: „ის იყო პირველი პოპ-ვარსკვლავი ფეხბურთელი, სამოციანი წლების ახალგაზრდული კულტურის პერსონიფიკაცია. დღეში 10 ათასი ფანის წერილს იღებდა, — ასეთი რამ ფეხბურთში მანამდე არ მომხდარა — მაგრამ მისდა საუბედუროდ სწორედ პოპვარსკვლავის იმიჯმა დალუპა. ბესტმა დაიწყო ვარსკვლავური ქცევა, სასმელმა და გიჟურმა ღამეებმა კარიერა შეუმცირა, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელობა შეერყა სამარადჟამოდ".

ერთი სიტყვით, ის, რასაც ბესტი მისდევდა, ბურთი აღარ იყო, ხოლო მას მედიის ზედმეტმა, ბრიტანულმა ყურადღებამ მოედანი საერთოდ დაავიწყა.

და მან გახსნა ღამის კლუბი, გახსნა რამდენიმე ბუტიკიც, თუმცა ბუტიკებმა და იქ მოდელ-მოდელი გოგოების გაუთავებელმა ვიზიტებმა არეული ცხოვრება კიდევ უფრო აურია, პაპარაცების რაოდენობა და აპარატების ჩხაკუნი კი გაზარდა.

„26 წლისას უკვე ყელში მქონდა ყველაფერი ამოსული, ჟურნალ-გაზეთები მახრჩობდნენ, ჩემი პოპულარობა კი სიამოვნების ნატამალს აღარ მგვრიდა" — იგონებს ვარსკვლავი, რომელიც...

ხომ გეუბნებით, რომ იგი ნამდვილი ვარსკვლავი იყო. დახეთ, რა მოხდა: ესპანეთში გაქცეულს თუ გარიდებულს „არსენალის" (!) რამდენიმე ფეხბურთელმა ჩააკითხა და სთხოვა, ფეხბურთის გულისათვის, დაბრუნდი და ითამაშეო, მაგრამ ნამდვილ, დიდ ფეხბურთს ირლანდიელი უკვე ძნელად თუ ითამაშებდა. არა, მის ბიოგრაფიულ ფაქტებს რომ ჩავხედოთ, ვნახავთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" შემდეგ ჯორჯ ბესტმა რვა (!) გუნდში აგორა ბურთი, მათგან დღეს ყველაზე ცნობილი „ფულემია", მაგრამ, თქვენი ნებართვით, ამას დიდ ფეხბურთად ნუღარ ჩავუთვლით.

არადა, იყო დრო, როდესაც სულ პატარა ბელფასტელი ბიჭი შინიდან სკოლამდე კენწვლით მიდიოდა და გაკვეთილების შემდეგ ასევე ბრუნდებოდა. მერე, როდესაც 15 წლისა მოიყარა, მავანმა „იუნაიტედის" სკაუტმა ბურთაობისას მოჰკრა თვალი და გიჟივით ეცა უახლოეს ქუჩის ტელეფონს.

„მატ, გენიოსი ვიპოვნე!" — ჩაჰყვირა ყურმილს. ხაზის მეორე ბოლოში კი ამ ყვირილს მანჩესტერელთა ლეგენდარული მწვრთნელი, მატ ბასბი ისმენდა.

სწორედ მაშინ დაიწყო, მერე კი დიდ, ბრწყინვალე და საოცარ ფეხბურთს დიდი ბოთლები და ბრწყინვალე ქალები შეერია, საოცრება კი ქირურგიის მიღწევები ყოფილა — თუ ფული გაქვს, ღვიძლს გადაინერგავ.

ერთადერთი, რასაც ვერ გადაინერგავ, ნიჭია, ოღონდ ეგაა, თუ კაცმა ნიჭი იგრძენი, არ არის აუცილებელი, ბესტს მიჰბაძო და... თუმცა, ჩვენ რა უფლება გვაქვს, ჭკუა გასწავლოთ.

**ბაპუნა ბედია**



ბესტის შეტევა — მცველების ჯოჯოხეთი



**1968 წლის 29 მაისი: ჩემპიონთა თასის ფინალში „მანჩესტერმა" „ბენფიკას" 4:1 მოუგო. იმ ოთხიდან მეორე გოლი ბესტისა იყო**

# ევროსტატი 2002-2003

## სერბეთი და ჩერნოგორია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 34 | 29 | 2 | 3 | 88:36 | 89 |
| ცრვენა ზვეზდა | 34 | 21 | 7 | 6 | 69:26 | 70 |
| ოფკ | 34 | 19 | 6 | 9 | 57:36 | 63 |
| ჟელეზნიკი | 34 | 18 | 8 | 8 | 56:37 | 62 |
| სუტიესკა | 34 | 19 | 5 | 10 | 43:33 | 62 |
| ვოივოდინა | 34 | 17 | 5 | 12 | 48:36 | 56 |
| ზეტა | 34 | 15 | 6 | 13 | 51:43 | 51 |
| ობილიჩი | 34 | 14 | 9 | 11 | 45:35 | 51 |
| ჰაიდუკი | 34 | 13 | 9 | 12 | 39:29 | 48 |
| ზემუნი | 34 | 13 | 8 | 13 | 42:39 | 47 |
| სარტიდი | 34 | 10 | 15 | 9 | 44:44 | 45 |
| რადნიჩკი (ო) | 34 | 11 | 11 | 12 | 35:41 | 44 |
| რადი | 34 | 11 | 10 | 13 | 39:43 | 43 |
| ჩუკარიჩკი | 34 | 10 | 7 | 17 | 42:56 | 37 |
| იავორი | 34 | 9 | 7 | 18 | 21:44 | 34 |
| მოგრენი | 34 | 5 | 6 | 23 | 33:76 | 21 |
| რუდარი | 34 | 4 | 6 | 24 | 19:63 | 18 |
| რადნიჩკი (ნ) | 34 | 2 | 5 | 27 | 23:78 | 11 |

ბომბარდირები: ვუკიჩი (22, პარტიზანი), ბრნოვიჩი (22, ზეტა)
გავარდნენ: „რადი", „ჩუკარიჩკი", „იავორი", „მოგრენი", „რუდარი", „რადნიჩკი" (ნიში)
ალზევდნენ: „ბუდუჩნოსტი", „ბორაცი", „ნაპრედაკი", „კომი"
თასის ფინალი
ცრვენა ზვეზდა 0:1დ.დ.(0:0) სარტიდი

## სლოვენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 31 | 12 | 8 | 5 | 57:32 | 62 |
| ცელიე | 31 | 15 | 10 | 6 | 57:38 | 55 |
| ოლიმპია | 31 | 14 | 12 | 5 | 54:32 | 54 |
| სმარტნო | 31 | 12 | 10 | 9 | 46:42 | 45 |
| კოპერი | 31 | 12 | 9 | 10 | 41:41 | 45 |
| პრიმორიე | 31 | 13 | 5 | 13 | 47:44 | 44 |
| დრავოგრადი | 31 | 7 | 13 | 11 | 34:43 | 34 |
| მურა | 31 | 9 | 7 | 15 | 38:48 | 34 |
| ლიუბლიანა | 31 | 9 | 6 | 16 | 41:66 | 30 |
| ველენიე | 34 | 6 | 7 | 18 | 32:51 | 25 |
| კოროტანი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:14 | 10 |

ბომბარდირი: კმეტეცი (20, ოლიმპია)
გავარდნენ: „ველენიე", „კოროტანი" (მოიხსნა I წრის მერე)
ალზევდნენ: „დომზალე", „დრავა"
თასის ფინალი:
ცელიე 2:2 ოლიმპია (1:1)

## სომხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიუნიკი | 22 | 19 | 2 | 1 | 85:14 | 59 |
| შირაქი | 22 | 16 | 3 | 3 | 49:15 | 51 |
| ბანანცი | 22 | 16 | 2 | 4 | 43:15 | 50 |
| სპარტაკი | 22 | 15 | 4 | 3 | 58:16 | 49 |
| არარატი | 22 | 9 | 6 | 7 | 39:22 | 33 |
| მიკა | 22 | 9 | 6 | 7 | 35:28 | 33 |
| ზვარტნოცი | 22 | 10 | 2 | 10 | 57:29 | 32 |
| ლერნაგორცი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:43 | 23 |
| ლერნაინ არცახი | 22 | 5 | 2 | 15 | 21:52 | 17 |
| დინამო-2000 | 22 | 3 | 3 | 16 | 19:63 | 12 |
| კოტაიკი | 22 | 2 | 5 | 15 | 17:62 | 11 |
| ლორი | 22 | 1 | 2 | 19 | 15:100 | 5 |

ბომბარდირი:
არმან ქარამიანი (36, პიუნიკი)
გავარდა: „ლორი"
ალზევდა: „არაქსი"
თასის ფინალი:
მიკა 1:0 ბანანცი

## უელსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარი თაუნი | 34 | 26 | 5 | 3 | 84:26 | 83 |
| ლანსანტფრეიდი | 34 | 24 | 8 | 2 | 68:21 | 80 |
| ბანგორ სიტი | 34 | 22 | 5 | 7 | 75:34 | 71 |
| ებერისთვიტი | 34 | 17 | 9 | 8 | 54:38 | 60 |
| რილი | 34 | 17 | 7 | 10 | 52:33 | 58 |
| ქონვი | 34 | 17 | 5 | 12 | 54:47 | 56 |
| აფან ლიდო | 34 | 14 | 10 | 10 | 44:34 | 52 |
| კერზუსი | 34 | 15 | 6 | 13 | 57:52 | 51 |
| ქუიმბრან თაუნი | 34 | 14 | 8 | 12 | 51:40 | 50 |
| ნიუთაუნი | 34 | 12 | 6 | 16 | 50:53 | 42 |
| პორტტალბოტი | 34 | 12 | 6 | 16 | 37:50 | 42 |
| ფლექსისი | 34 | 11 | 5 | 18 | 36:51 | 38 |
| ჰევერფორდვესტი | 34 | 10 | 5 | 19 | 40:68 | 35 |
| კარმარტენი | 34 | 8 | 10 | 16 | 33:66 | 32 |
| ოსვესტრი | 34 | 6 | 10 | 18 | 36:67 | 28 |
| უელშპულ თაუნი | 34 | 7 | 7 | 20 | 30:62 | 28 |
| ლანელი | 34 | 4 | 5 | 25 | 42:89 | 17 |

ბომბარდირი: ევანსი (24, კერზუსი)
გავარდნენ: „უელშპულ თაუნი", „ლანელი"
ალზევდნენ: „პორტმადოგი", „ნითი"
თასის ფინალი:
ბარი თაუნი 2:2(პენ.4:3) ქუიმბრან თაუნი



შოტლანდიაში შოთა არველაძემ საჩემპიონო სომბრერო დაიხურა

## უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 23 | 4 | 3 | 66:20 | 73 |
| შახტარი | 30 | 22 | 4 | 4 | 61:24 | 70 |
| მ. დონეცკი | 30 | 18 | 6 | 6 | 44:26 | 60 |
| დნიპრო | 30 | 18 | 5 | 7 | 48:27 | 59 |
| არსენალი | 30 | 16 | 8 | 6 | 49:24 | 56 |
| ვოლინი | 30 | 12 | 5 | 13 | 37:44 | 41 |
| კარპატი | 30 | 9 | 9 | 12 | 29:37 | 36 |
| ჩერნომორეცი | 30 | 10 | 4 | 16 | 31:45 | 34 |
| ტავრია | 30 | 9 | 7 | 14 | 36:50 | 34 |
| ილიჩევეცი | 30 | 8 | 10 | 12 | 34:38 | 34 |
| ვორსკლა | 30 | 8 | 8 | 14 | 26:41 | 32 |
| კრივბასი | 30 | 8 | 7 | 15 | 25:37 | 31 |
| ოლიქსანდრია | 30 | 7 | 9 | 14 | 26:43 | 30 |
| ობოლონი | 30 | 7 | 7 | 16 | 32:45 | 28 |
| მ. ზაპოროჟიე | 30 | 6 | 8 | 16 | 22:41 | 26 |
| მეტალისტი | 30 | 6 | 5 | 19 | 19:43 | 23 |

ბომბარდირი: შაცკიხი (22, დინამო)
გავარდნენ: „ოლიქსანდრია" (გაკოტრდა), „მეტალისტი"
ალზევდნენ: „ზვეზდა", „ბორისფენი"
თასის ფინალი: დინამო 2:1 შახტარი

## უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პლეი ოფი** | | | | | | |
| მტკ | 32 | 20 | 6 | 6 | 59:34 | 66 |
| ფერენცვაროში | 32 | 19 | 7 | 6 | 50:24 | 64 |
| დებრეცენი | 32 | 13 | 4 | 5 | 57:38 | 53 |
| უიპეშტი | 32 | 15 | 7 | 10 | 54:41 | 52 |
| შიოფოკი | 32 | 12 | 11 | 9 | 46:44 | 47 |
| დიორ ეტო | 32 | 9 | 9 | 14 | 41:50 | 36 |
| **პლეი აუტი** | | | | | | |
| ზალაეგერსეგი | 32 | 15 | 8 | 9 | 62:49 | 53 |
| ვიდეოტონი | 32 | 11 | 7 | 14 | 46:41 | 40 |
| შოპრონი | 32 | 9 | 9 | 14 | 47:54 | 36 |
| ბეკეშჩაბა | 32 | 9 | 4 | 19 | 42:71 | 31 |
| კიშპეშტ-ჰონვედი | 32 | 8 | 5 | 19 | 43:66 | 29 |
| დუნაფერი | 32 | 4 | 8 | 20 | 37:72 | 20 |

ბომბარდირი:
კენეში (23, ზალაეგერსეგი)
გავარდნენ: „კიშპეშტ-ჰონვედი", „დუნაფერი"
ალზევდნენ: „პეჩი", „ბალადაში"
თასის ფინალი:
ფერენცვაროში 2:1 დებრეცენი

## ფარერები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორსჰავნი | 18 | 13 | 2 | 3 | 52:19 | 41 |
| რუნავიკი | 18 | 11 | 3 | 4 | 38:21 | 36 |
| კლაქსვიკი | 18 | 10 | 3 | 5 | 45:25 | 33 |
| გი გოტუ | 18 | 10 | 2 | 6 | 33:30 | 32 |
| ბ-36 ტორსჰავნი | 18 | 9 | 5 | 4 | 55:27 | 32 |
| ბ-68 ტოფტირი | 18 | 7 | 5 | 6 | 28:28 | 26 |
| ვაგური | 18 | 6 | 4 | 8 | 18:24 | 22 |
| სკალა | 18 | 3 | 4 | 11 | 23:41 | 13 |
| სტრეიმური | 18 | 3 | 3 | 12 | 19:42 | 12 |
| ტბ ტვეროირი | 18 | 1 | 3 | 14 | 18:72 | 6 |

ბომბარდირი: ფლეტუმი (18, ტორსჰავნი)
გავარდა: „ტბ ტვეროირი"
ალზევდა: „ფოარი"
თასის ფინალი:
ტორსჰავნი 1:2 რუნავიკი

## ფინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პლეი ოფი** | | | | | | |
| ჰიკ | 7 | 5 | 2 | 0 | 51:21 | 65 |
| მიუპა | 7 | 5 | 2 | 0 | 57:25 | 60 |
| ჰაკა | 7 | 4 | 2 | 1 | 51:30 | 52 |
| ალიანსი | 7 | 2 | 1 | 4 | 39:44 | 41 |
| ტამპერე | 7 | 1 | 4 | 2 | 31:24 | 39 |
| ინტერი | 7 | 1 | 1 | 5 | 33:29 | 36 |
| იარო | 7 | 3 | 1 | 3 | 34:46 | 36 |
| ლაჰტი | 7 | 0 | 1 | 6 | 25:44 | 33 |
| **პლეი აუტი** | | | | | | |
| კუოპიო | 7 | 4 | 1 | 2 | 14:4 | 16 |
| ტურკუ | 7 | 4 | 2 | 1 | 10:9 | 15 |
| ჰაამენლინა | 7 | 3 | 0 | 1 | 8:8 | 11 |
| იოკერიტი | 7 | 3 | 1 | 3 | 13:13 | 10 |
| ჯაზი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:5 | 9 |
| კტპ | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 9 |
| ვპს | 7 | 2 | 2 | 3 | 6:12 | 9 |
| ტპ-47 | 7 | 2 | 1 | 1 | 6:9 | 7 |

ბომბარდირი: კოტილა (18, ჰიკ)
გავარდა: „ვპს"
ალზევდნენ: „ტპს", „იოკერიტი", „კტპ"
თასის ფინალი: ჰაკა 4:1 ლაჰტი

## ყაზახეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პლეი ოფი** | | | | | | |
| ირტიში | 32 | 21 | 8 | 3 | 63:14 | 71 |
| ატირაუ | 32 | 19 | 6 | 7 | 43:22 | 63 |
| ტობოლი | 32 | 15 | 7 | 10 | 45:43 | 52 |
| ჟენისი | 32 | 14 | 10 | 8 | 40:23 | 52 |
| აქტობე-ლენტო | 32 | 13 | 7 | 12 | 37:40 | 46 |
| შახტიორი | 32 | 11 | 10 | 11 | 45:39 | 43 |
| **პლეი აუტი** | | | | | | |
| ქაირათი | 32 | 13 | 7 | 12 | 41:36 | 46 |
| ელიმაი | 32 | 11 | 6 | 15 | 33:51 | 39 |
| ქილიზოგატირი | 32 | 10 | 7 | 15 | 31:35 | 37 |
| კაისარი | 32 | 10 | 2 | 20 | 31:55 | 32 |
| ვოსტოკ-ალთინი | 32 | 10 | 2 | 20 | 27:47 | 32 |
| ესილი | 32 | 6 | 6 | 20 | 25:56 | 24 |

ბომბარდირი: ლუნევი (16, შახტიორი);
გავარდა: არავინ
ალზევდნენ: „ჟეტისი", „ორდაბასი", „ეკიბასტუზეცი", „თარაზი", „ბატისი"
თასის ფინალი
ირტიში 0:1 ჟენისი

## შვედეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 26 | 16 | 4 | 6 | 51:33 | 52 |
| მალმიო | 26 | 14 | 4 | 8 | 51:32 | 46 |
| იორგრიტე | 26 | 12 | 8 | 6 | 49:38 | 44 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 10 | 8 | 8 | 38:38 | 38 |
| აიკ | 26 | 9 | 10 | 7 | 35:38 | 37 |
| ჰალმსტადი | 26 | 8 | 12 | 6 | 35:28 | 36 |
| იორებრო | 26 | 9 | 8 | 9 | 32:39 | 35 |
| სუნდსვალი | 26 | 8 | 9 | 9 | 29:35 | 33 |
| ჰამარბი | 26 | 8 | 8 | 10 | 43:42 | 32 |
| ელფსბორგი | 26 | 8 | 8 | 10 | 25:31 | 32 |
| ლანდსკრონა | 26 | 8 | 6 | 12 | 41:39 | 30 |
| გიოტებორგი | 26 | 8 | 4 | 14 | 25:39 | 28 |
| ნორჩიოპინგი | 26 | 6 | 9 | 11 | 37:40 | 27 |
| კალმარი | 26 | 6 | 6 | 14 | 20:40 | 24 |

ბომბარდირი: იჟე (24, მალმიო)
გავარდნენ: „ნორჩიოპინგი", „კალმარი"
ალზევდნენ: „ენკიოპინგი", „იოსტერი"
თასის ფინალი:
იურგორდენი 1:0დ.დ.(0:0) აიკ

## შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პლეი ოფი** | | | | | | |
| გრასჰოპერი | 14 | 9 | 5 | 0 | 37:15 | 57 |
| ბაზელი | 14 | 10 | 2 | 2 | 38:17 | 56 |
| ქსამაქსი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:17 | 35 |
| იანგ ბოისი | 14 | 6 | 1 | 7 | 21:29 | 34 |
| ციურიხი | 14 | 4 | 3 | 7 | 20:23 | 34 |
| სერვეტი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:26 | 31 |
| თუნი | 14 | 3 | 3 | 8 | 18:30 | 28 |
| ვილი | 14 | 2 | 4 | 8 | 19:30 | 26 |
| **პლეი აუტი** | | | | | | |
| აარაუ | 12 | 9 | 1 | 2 | 30:13 | 28 |
| სენტ გალენი | 12 | 7 | 3 | 2 | 25:9 | 24 |
| ლუცერნი | 12 | 4 | 4 | 4 | 24:22 | 16 |
| ვადუცი | 12 | 3 | 4 | 5 | 17:23 | 13 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:18 | 12 |
| დელემონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:24 | 12 |
| კრინსი | 12 | 3 | 2 | 7 | 14:27 | 11 |

ბომბარდირი: ნუნიესი (27, გრასჰოპერი);
გავარდნენ: „ლუცერნი", „ვადუცი", „სიონი", „დელემონი", „კრინსი"
ალზევდნენ: არავინ
თასის ფინალი: ბაზელი 6:0 ქსამაქსი

## შოტლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 38 | 31 | 4 | 3 | 101:28 | 97 |
| სელტიკი | 38 | 31 | 4 | 3 | 98:26 | 97 |
| ჰართსი | 38 | 18 | 9 | 11 | 57:51 | 63 |
| კილმარნოკი | 38 | 16 | 9 | 13 | 47:56 | 57 |
| დანფერმლაინი | 38 | 13 | 7 | 18 | 54:71 | 46 |
| დანდი | 38 | 10 | 14 | 14 | 50:60 | 44 |
| ჰიბერნიანი | 38 | 15 | 6 | 17 | 56:64 | 51 |
| აბერდინი | 38 | 13 | 10 | 15 | 41:54 | 49 |
| ლივინგსტონი | 38 | 9 | 8 | 21 | 48:62 | 35 |
| პარტიკი | 38 | 8 | 11 | 19 | 37:58 | 35 |
| დანდი იუნ. | 38 | 7 | 11 | 20 | 35:68 | 32 |
| მოზერუელი | 38 | 7 | 7 | 24 | 45:71 | 28 |

ბომბარდირი: ლარსონი (28, სელტიკი)
გავარდა: „მოზერუელი"
ალზევდა: „ფალკირკი"
თასის ფინალი:
რეინჯერსი 1:0 დანდი

## ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 20 | 5 | 5 | 51:17 | 65 |
| სლავია | 30 | 18 | 10 | 2 | 65:19 | 64 |
| ჟიჟკოვი | 30 | 14 | 8 | 8 | 38:33 | 50 |
| ლიბერეცი | 30 | 14 | 8 | 8 | 43:36 | 50 |
| ბანიკი | 30 | 13 | 6 | 11 | 41:38 | 45 |
| ტეპლიცე | 30 | 13 | 6 | 11 | 33:32 | 45 |
| ზლინი | 30 | 11 | 9 | 10 | 34:41 | 42 |
| სინოტი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:40 | 40 |
| ბრნო | 30 | 10 | 9 | 11 | 35:31 | 39 |
| პრჟიბრამი | 30 | 9 | 12 | 9 | 34:30 | 39 |
| სიგმა | 30 | 8 | 10 | 12 | 29:33 | 34 |
| ბუდეიოვიცე | 30 | 8 | 6 | 16 | 36:54 | 30 |
| ბლშანი | 30 | 7 | 7 | 16 | 28:39 | 28 |
| ბოჰემიანსი | 30 | 5 | 9 | 16 | 34:56 | 24 |
| ჰ. კრალოვე | 30 | 3 | 13 | 14 | 23:54 | 22 |

ბომბარდირი: კოვალიკი (16, სინოტი);
გავარდნენ: „ბოჰემიანსი", „ჰრადეც კრალოვე"
ალზევდნენ: „პლზენი", „ოპავა"
თასის ფინალი:
ტეპლიცე 1:0 იაბლონეცი



კრისტიან კივუმ „აიაქსის" ჩემპიონობის საბუთი ჩაიბარა

## ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პლეი ოფი** | | | | | | |
| გლენტორანი | 38 | 28 | 6 | 4 | 78:22 | 90 |
| პორტდაუნი | 38 | 24 | 8 | 6 | 89:36 | 80 |
| კოლრეინი | 38 | 21 | 10 | 7 | 66:38 | 73 |
| ლინფილდი | 38 | 17 | 12 | 9 | 70:41 | 63 |
| ომაგ თაუნი | 38 | 15 | 6 | 17 | 47:57 | 51 |
| იუნივერსითი | 38 | 12 | 6 | 20 | 44:75 | 42 |
| **პლეი აუტი** | | | | | | |
| არდსი | 38 | 12 | 10 | 16 | 27:39 | 46 |
| ლისბერნი | 38 | 12 | 6 | 20 | 39:49 | 42 |
| კლიფტონვილი | 38 | 9 | 14 | 15 | 37:43 | 41 |
| გლენავონი | 38 | 8 | 12 | 18 | 41:67 | 36 |
| კრუზეიდერსი | 38 | 9 | 9 | 20 | 26:61 | 36 |
| ნიური თაუნი | 38 | 8 | 7 | 23 | 33:69 | 31 |

ბომბარდირი:
არკინსი (29, პორტდაუნი)
გავარდა: არავინ
ალზევდნენ:
„ბალიმენა", „დანგენონი", „ლიმავეიდი", „ლარნი"
თასის ფინალი:
კოლრეინი 1:0 გლენტორანი

## ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პლეი ოფი** | | | | | | |
| დინამო | 10 | 7 | 0 | 3 | 76:27 | 78 |
| ჰაიდუკი | 10 | 6 | 2 | 2 | 56:22 | 70 |
| ვარტექსი | 10 | 3 | 3 | 4 | 52:38 | 57 |
| კამენ ინგრადი | 10 | 4 | 2 | 4 | 34:34 | 44 |
| ციბალია | 10 | 3 | 2 | 5 | 39:44 | 43 |
| ზაგრები | 10 | 1 | 3 | 6 | 40:52 | 36 |
| **პლეი აუტი** | | | | | | |
| სლავენი | 10 | 3 | 2 | 5 | 37:36 | 40 |
| ოსიეკი | 10 | 4 | 4 | 2 | 32:51 | 39 |
| რიეკა | 10 | 4 | 3 | 3 | 40:41 | 33 |
| ზადარი | 10 | 4 | 0 | 6 | 36:71 | 33 |
| პომორაცი | 10 | 4 | 3 | 3 | 42:52 | 32 |
| შიბენიკი | 10 | 4 | 2 | 4 | 37:53 | 31 |

ბომბარდირი:
ოლიჩი (16, დინამო)
გავარდნენ:
„შიბენიკი", „პომორაცი"
ალზევდნენ:
„მარსონია", „ინკერი"
თასის ფინალი
ჰაიდუკი 4:0 ულიანიკი (1:0)

## ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 34 | 26 | 6 | 2 | 87:20 | 84 |
| აიაქსი | 34 | 26 | 5 | 3 | 96:32 | 83 |
| ფეიენოორდი | 34 | 25 | 5 | 4 | 89:39 | 80 |
| ბრედა | 34 | 13 | 13 | 8 | 42:31 | 52 |
| ნაიმეგენი | 34 | 14 | 9 | 11 | 41:40 | 51 |
| როდა | 34 | 14 | 8 | 12 | 58:54 | 50 |
| ჰერენვენი | 34 | 13 | 8 | 13 | 61:55 | 47 |
| უტრეხტი | 34 | 12 | 11 | 11 | 49:49 | 47 |
| ვალვაიკი | 34 | 14 | 4 | 16 | 44:51 | 46 |
| ალკმაარი | 34 | 12 | 8 | 14 | 50:69 | 44 |
| ტილბურგი | 34 | 11 | 9 | 14 | 48:51 | 42 |
| ტვენტე | 34 | 10 | 11 | 13 | 36:45 | 41 |
| როზენდალი | 34 | 10 | 6 | 18 | 33:54 | 36 |
| ვიტესი | 34 | 8 | 9 | 17 | 37:51 | 33 |
| გრონინგენი | 34 | 7 | 11 | 16 | 28:44 | 32 |
| ზვოლე | 34 | 8 | 8 | 18 | 31:62 | 32 |
| ექსელსიორი | 34 | 5 | 8 | 21 | 38:72 | 23 |
| გრააფსხაპი | 34 | 6 | 5 | 23 | 84:23 | 23 |

### გადასასვლელი ტურნირი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | | | |
| ზვოლე | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 14 |
| ჰელმონდი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| დენ ბოსხი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| იგლსი | 6 | 1 | 0 | 5 | 9:12 | 3 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| ვოლენდამი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| ემენი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:6 | 9 |
| ექსელსიორი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 9 |
| ჰერაკლესი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |

ბომბარდირი: კეჟმანი (35, პსვ ეინდჰოვენი);
გავარდნენ:
„გრააფსხაპი", „ექსელსიორი"
ალზევდნენ:
„დენ ჰააგი", „ვოლენდამი"
თასის ფინალი
ფეიენოორდი 1:4 უტრეხტი

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 001 | ცსკა-ზენიტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 16.00 | 002 | ლოკომოტივი-რუბინი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 003 | მეტალურგი-ურალანი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 16.00 | 004 | ალანია-შინიკი | 2,6 | 2,6 | 2,6 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 16.00 | 005 | კრილია-ტორპედო | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 16.00 | 006 | ჩერნომორეცი-სპარტაკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 16.00 | 007 | როსტოვი-როტორი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 008 | სატურნი-დინამო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **შვედეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 011 | იორებრო-ლანდსკრონა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 012 | იოსტერი-ჰალმსტადი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 20.00 | 013 | სუნდსვალი-ენკიოპინგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი. XII ტური** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 017 | ჰიკ-ტურკუ | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 018 | ჰაამეენლინა-ჯაზი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 20.30 | 019 | ინტერი-მიუპა | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 20.30 | 020 | კტპ-იარო | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 021 | ლაჰტი-ჰაკა | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ავსტრია სუპერთასი** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 19.20 | 022 | აუსტრია-კერნტენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **ოქროს თასი., ტურნირი აშშ-ში** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 039 | კოსტა რიკა-კანადა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 03.30 | 040 | აშშ-სალვადორი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 041 | მექსიკა-ბრაზილია | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 24.00 | 042 | იამაიკა-კოლუმბია | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 024 | გლორია(რუმინეთი)-ბრეშა(იტალია) | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 20.00 | 025 | პარტიზანი(ალბანეთი)-დაჩია(მოლდოვა) | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 026 | ოფკ(სერბია)-სინოტი(ჩეხეთი) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 21.00 | 027 | ციბალია(ხორვატია)-შახტიორი(ბელარუსი) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 028 | დუბნიცა(სლოვაკეთი)-კოპერი(სლოვენია) | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 21.00 | 029 | ბრნო(ჩეხეთი)-თუნი(შვეიცარია) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.00 | 030 | ეტო(უნგრეთი)-რასინგი(ესპანეთი) | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 22.00 | 031 | ვილი(შვეიცარია)-ტილბურგი(ჰოლანდია) | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 032 | ლიერსი(ბელგია)-სლობოდა(ბოსნია) | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 22.30 | 033 | პაშინგი(ავსტრია)-პობედა(მაკედონია) | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 034 | ვოლფსბურგი(გერმანია)-მარეკი(ბულგარეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.00 | 035 | ნიცა(საფრანგეთი)-იორგრიტე(შვედეთი) | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 036 | შემროკი(ირლანდია)-ლიბერეცი(ჩეხეთი) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 20.00 | 037 | სუტიესკა(სერბია)-ტამპერე(ფინეთი) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## interwetten .com

### ინტერვეტენი (ავსტრია)

**ინტერტოტოს თასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| გლორია — ბრეშა | 2,2 | 3,1 | 2,5 |
| ოფკ — სინოტი | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| ბრნო — თუნი | 1,8 | 3,2 | 3,3 |
| ციბალია — შახტიორი | 1,55 | 3,5 | 4,2 |
| პარტიზანი — დაჩია | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,6 | 3,2 | 2,1 |
| ვილი — ტილბურგი | 2,1 | 3,2 | 2,6 |
| პაშინგი — პობედა | 1,6 | 3,3 | 4,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,3 | 4,4 | 6,0 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,45 | 3,6 | 4,8 |
| **13 ივლისი** | | | |
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 2,9 | 3,2 | 1,9 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,7 | 3,3 | 3,6 |

## WETTBÜRO Jeder kann gewinnen SCHWECHAT

### ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

**ინტერტოტოს თასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიცა — იორგრიტე | 1,4 | 3,6 | 6,0 |
| ოფკ — სინოტი | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,5 | 3,2 | 2,2 |
| ბრნო — თუნი | 1,7 | 3,3 | 3,7 |
| გლორია — ბრეშა | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,25 | 4,5 | 7,0 |
| ციბალია — შახტიორი | 1,55 | 3,3 | 4,5 |
| ვილი — ტილბურგი | 2,1 | 3,2 | 2,7 |
| პაშინგი — პობედა | 1,65 | 3,3 | 3,9 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,4 | 3,6 | 6,0 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| **13 ივლისი** | | | |
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 2,8 | 3,3 | 2,0 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,6 | 3,4 | 4,0 |

sportsbook infoworld p2p

## ბეიმბუქერსი (ინგლისი -ავსტრია)

**რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური**

**11 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — ზენიტი | 1,52 | 3,5 | 5,5 |
| ლოკომოტივი — რუბინი | 1,52 | 3,5 | 5,5 |

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კრილია — ტორპედო | 1,85 | 3,2 | 3,7 |
| სპარტაკ-ალანია — შინიკი | 2,48 | 3,1 | 2,5 |
| ტორპედო-მეტალურგი — ურალანი | 2,1 | 3,15 | 3,05 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 2,5 | 3,05 | 2,5 |
| როსტოვი — როტორი | 1,75 | 3,3 | 4,0 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სატურნი — დინამო | 2,15 | 3,15 | 2,95 |

**ფინეთი. XII ტური**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ტურკუ | 1,44 | 4,0 | 6,0 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — მიუპა | 3,0 | 3,2 | 2,15 |
| კტპ — იარო | 2,15 | 3,2 | 3,0 |
| ლაჰტი — ჰაკა | 4,0 | 3,3 | 1,8 |
| ჰამენლინა — ჯაზი | 1,75 | 3,5 | 4,0 |

**შვედეთი. XIV ტური**

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სუნდსვალი — ენკიოპინგი | 1,72 | 3,35 | 4,35 |
| იორებრო — ლანდსკრონა | 1,75 | 3,3 | 4,25 |
| იოსტერი — ჰალმსტადი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**ინტერტოტოს თასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — სენტ ტრუიდენი | 2,47 | 3,1 | 2,52 |
| გლორია — ბრეშა | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| ოფკ — სინოტი | 1,8 | 3,2 | 3,85 |
| პარტიზანი — დაჩია | 1,9 | 3,25 | 3,4 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,75 | 3,3 | 4,0 |
| ციბალია — შახტიორი | 1,44 | 3,75 | 6,0 |
| ბრნო — თუნი | 1,8 | 3,25 | 3,75 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,85 | 3,2 | 2,15 |
| ვილი — ტილბურგი | 2,15 | 3,2 | 2,85 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,36 | 4,0 | 7,0 |
| პაშინგი — პობედა | 1,7 | 3,5 | 4,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,3 | 4,5 | 7,5 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,44 | 3,75 | 6,0 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 3,0 | 3,4 | 2,0 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| ალიანსი — აკრატიტოსი | 1,44 | 4,0 | 5,5 |

CORAL EUROBET

## ევროზეთი (დიდი ბრიტანეთი)

**ინტერტოტოს თასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| გლორია — ბრეშა | 2,3 | 3,0 | 2,8 |
| ოფკ — სინოტი | 1,8 | 3,25 | 3,85 |
| ბრნო — თუნი | 1,75 | 3,3 | 4,0 |
| ციბალია — შახტიორი | 1,55 | 3,5 | 5,1 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,8 | 3,25 | 3,8 |
| დიორ ეტო — რასინგი | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| ვილი — ტილბურგი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,4 | 3,85 | 6,5 |
| პაშინგი — პობედა | 1,7 | 3,3 | 4,25 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,4 | 3,7 | 7,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,25 | 4,75 | 8,5 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 3,2 | 3,2 | 2,0 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,65 | 3,4 | 4,5 |

**ავსტრია. სუპერთასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — კერნტენი | 1,4 | 3,85 | 7,0 |

**ფინეთი. XII ტური**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ტურკუ | 1,35 | 4,25 | 7,5 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამენლინა — ჯაზი | 1,65 | 3,5 | 4,75 |
| ინტერი — მიუპა | 3,1 | 3,3 | 2,1 |
| კტპ — იარო | 2,3 | 3,25 | 2,75 |
| ლაჰტი — ჰაკა | 4,0 | 3,3 | 1,8 |

**რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური**

**11 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — ზენიტი | 1,45 | 3,75 | 6,0 |
| ლოკომოტივი — რუბინი | 1,45 | 3,75 | 6,0 |

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| კრილია სოვეტოვი — ტორპედო | 1,8 | 3,25 | 3,85 |
| ტორპედო-მეტალურგი — ურალანი | 2,0 | 3,1 | 3,3 |
| სპარტაკ-ალანია — შინიკი | 2,4 | 3,0 | 2,65 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 2,55 | 2,9 | 2,55 |
| როსტოვი — როტორი | 1,65 | 3,4 | 4,5 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სატურნი — დინამო | 2,1 | 3,1 | 3,1 |

**შვედეთი. XIV ტური**

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სუნდსვალი — ენკიოპინგი | 1,7 | 3,4 | 4,5 |
| იორებრო — ლანდსკრონა | 1,9 | 3,3 | 3,65 |
| იოსტერი — ჰალმსტადი | 3,3 | 3,3 | 2,0 |

William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

**ავსტრია. სუპერთასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — კერნტენი | 1,36 | 3,75 | 8,0 |

**შვედეთი**

**XIV ტური**

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სუნდსვალი — ენკიოპინგი | 1,72 | 3,25 | 4,2 |
| იორებრო — ლანდსკრონა | 1,66 | 3,3 | 4,5 |
| იოსტერი — ჰალმსტადი | 3,4 | 3,25 | 1,9 |

**ფინეთი**

**XII ტური**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიკ — ტურკუ | 1,44 | 3,6 | 6,5 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამენლინა — ჯაზი | 1,66 | 3,4 | 4,33 |
| ინტერი — მიუპა | 2,87 | 3,3 | 2,1 |
| კტპ — იარო | 2,25 | 3,2 | 2,75 |
| ლაჰტი — ჰაკა | 3,6 | 3,4 | 1,8 |

**ინტერტოტოს თასი**

**12 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტობოლი — სენტ ტრუიდენი | 2,4 | 3,4 | 2,4 |
| გლორია — ბრეშა | 2,3 | 2,9 | 2,9 |
| ოფკ — სინოტი | 1,66 | 3,4 | 4,33 |
| ბრნო — თუნი | 1,66 | 3,5 | 4,2 |
| ციბალია — შახტიორი | 1,53 | 3,6 | 5,0 |
| პარტიზანი — დაჩია | 2,1 | 3,25 | 2,9 |
| დუბნიცა — კოპერი | 1,83 | 3,2 | 3,75 |
| დიორ ეტო — რასინგი | 3,0 | 3,2 | 2,1 |
| ლიერსი — სლობოდა | 1,36 | 4,2 | 6,5 |
| ვილი — ტილბურგი | 2,25 | 3,0 | 2,87 |
| პაშინგი — პობედა | 1,61 | 3,5 | 4,5 |
| ნიცა — იორგრიტე | 1,36 | 4,0 | 7,0 |
| ვოლფსბურგი — მარეკი | 1,25 | 5,0 | 8,0 |

**13 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შემროკ როვერსი — ლიბერეცი | 3,4 | 3,25 | 1,9 |
| სუტიესკა — ტამპერე | 1,53 | 3,6 | 5,0 |
| ალიანსი — აკრატიტოსი | 1,44 | 3,75 | 6,0 |

# ფაჩულია დაწყნარდა და სხვები აალელვა

*ეს რაა, ამაზე მეტი შემიძლია და ვეცდები, ჩემი რეალური ძალა დარჩენილ მატჩებში გამოვაჩინო — გვითხრა ზაზა ფაჩულიამ გუშინ, ორლანდოში რომ დავუკავშირდით. ლაპარაკია ორლანდოური კემპის 9 ივლისის მატჩზე „მეჯიქსა“ და „დეტროიტ პისტონზს“ შორის, რომლის საუკეთესო მოთამაშეც ორლანდოელთა ახალწვეული ზაზა ფაჩულია იყო 19 ქულითა და 11 მოხსნით. საკუთარი თავის რეაბილიტაციაც ასე უნდა — ზაზამ „კლივლენდთან“ ნათამაშებ სადებიუტო მატჩში თავი ვერ გამოიჩინა, ოდენ 2 ქულა დააგროვა, გუშინწინ კი ქართველმა ცენტრმა მოედანზე მყოფთაგან ყველას აჯობა. ფაჩულიასთან საუბარიც მისი ამგვარი ფერიცვალებიდან დავიწყეთ...*



ზაზა ფაჩულიამ მეორე გამოცდა ჩააბარა

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, „დეტროიტთან“ უფრო მეტი მონდომებით ვითამაშე და არცთუ ცუდად გამომივიდა.

**— პირველივე მატჩში მოგენდომებინა...**

— „კლივლენდთან“ შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ამერიკაში. „ორლანდოს“ დარბაზი სულ სავსე იყო, აქეთ ტელე და ფოტო კამერები, უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი. თანაც პირველი მატჩი იყო და ვღელავდი. პირველი ორი სროლა რომ ავაცილე, მთლად ავნერვიულდი, ხუთი პერსონალურიც მალე დამიგროვდა და მწვრთნელმა აღარ მათამაშა.

**— „დეტროიტთან“ კი ყველაფერი პირიქით მოხდა, აქით შენზე ჯარიმდებოდნენ გამუდმებით...**

— მართლა ბევრჯერ დაჯარიმდნენ. არც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვესროლე 14 საჯარიმო.

**— მაინც რა მოხდა, რას მიაწერ ასე უცაბედ გარდაქმნას?**

— უბრალოდ, ძალიან გავბრაზდი „კლივლენდთან“ ჩაგდებული თამაშის გამო. ვხედავ, რომ დიდი ვერაფრით მჯობიან და ნერვიულობისგან მაინც ვერაფერს ვაკეთებ. დარწმუნებული ვიყავი, თავის გამოჩენა შემეძლო და „დეტროიტის“ წინააღმდეგაც იმ განწყობით გავედი სათამაშოდ, რომ ყველას ვაჯობებდი. ასეც მოხდა, მაგრამ შეიძლება გაგიკვირდეს და, ჩემი თამაშით კმაყოფილი არ ვარ, ამაზე გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია, რაც მომავალ შეხვედრებში უნდა დავამტკიცო. აი, გუნდი რომ უფრო შეთამაშებული ყოფილიყო... 23 ბურთი დავკარგეთ, რაც ძალიან ცუდი შედეგია.

**როგორც ოქმიდან ჩანს, ფარქვეშ ბადალი არ გყოლია. შენი 11 მოხსნის წილ დანარჩენმა „ორლანდომ“ 15 დააგროვა. ის ოთხი ორქულიანიც ხომ თითქმის სულ სამწამიანი ზონიდან ჩააგდე. ეტყობა, სუსტი წერტილი მოუნახე დეტროიტელებს...**

— არა, სულ ერთი და იგივე ბურთებს ვინ ჩამაგდებინებდა. რასაც სიტუაცია მიკარნახებდა, იმას ვაკეთებდი. ფარქვეშ მართლაც არ მქონია პრობლემა, თითქმის ყველა ეპიზოდში ვაჯობე მეტოქეებს.

**— მატჩის შემდეგ რა თვალით შეგხედეს ორლანდოელებმა?**

— აშკარად ყველა გაოცებული იყო. პირველი მატჩის შემდეგ ალბათ არ ელოდნენ, ასე კარგად თუ ვითამაშებდი. მწვრთნელებს, როგორც წესი, არაფერი უთქვამთ, თუმც აშკარად კმაყოფილები იყვნენ.

**— ასეთი თამაშით, ალბათ, კონტრაქტსაც დაიმსახურებ...**

— ეს მატჩი არაფერს ნიშნავს, ერთი ხელის გაქნევის გამო არავინ ამიყვანს გუნდში. სამი შეხვედრა დაგვრჩა და სამივე ამაზე არანაკლებ შედეგიანად უნდა ჩავატარო. ის კი არა, მჯერა, უკეთაც ვითამაშებ. მთავარია, პირველი ბარიერი დავძლიე და დავრწმუნდი, რომ რთული არაფერია. „მილუოკისთან“ დღევანდელი მატჩზე უფრო დიდ იმედებს ვამყარებ.

**— „კლივლენდისა“ არ იყოს, „დეტროიტთანაც“ დიდი ანგარიშით წააგეთ. ნუთუ ასეთი სუსტია „ორლანდო“?**

— მოგება-წაგება, აქ არავის აინტერესებს, ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს, თავი გამოიჩინოს და კონტრაქტი გამოიმუშაოს. ისე, ჩემი გუნდი ყველაზე სუსტია კემპზე, არც ერთი ძირითადის მოთამაშე არ ჰყავს.

**— მაშ, ვინ არიან შენი თანაგუნდელები?**

— ერთი-ორი ევროპელია, დანარჩენები აქაური კოლეჯებიდან და უნივერსიტეტებიდან არიან. თითქმის ყველა ახალგზრდაა, ზოგიერთმა იცის, რომ არ აიყვანენ, მაგრამ ორი-სამი წლით შორს იყურება და ორლანდოელებს აქედანვე აწონებს თავს.

**— შენთან ერთად წლეულს დრაფტზე აყვანილი ბიჭები, როგორც ჩანს, გამოადგა „ორლანდოს“...**

— გეინისი და ბოგანსი დაბალი, მოძრავი ბიჭები არიან და ძალიან ინდომებენ, განსაკუთრებით ბოგანსი, გამოირჩევა რომელიც ჩემს შემდეგ, 43-ე ნომრად აიყვანეს. გეინისს განაღდებული აქვს კონტრაქტი და თავს არ იკლავს.

**— ბოლოს ლებრონ ჯეიმსსა და დარკო მილიჩიჩზეც გკითხავ: ჯეიმსს პირველ მატჩში ეთამაშე, მილიჩიჩი კი გუშინწინ „დეტროიტის“ შემადგენლობაში არ ყოფილა...**

— ლებრონ ჯეიმსმა არც ისე კარგად ითამაშა, როგორც ელოდნენ და არც თავი შეურცხვენია. კარგი ბიჭი ჩანს და ალბათ ვარსკვლავი გახდება. მილიჩიჩს კი თავის ყოფილ გუნდ „ჰემოფარმთან“ აქვს პრობლემები და ჯერ ვერ თამაშობს „დეტროიტში“.

**ირაკლი ბერტაია**

---

## ინდიანა გადარჩა

„ინდიანა პეისერზის“ მთავარ ოფისში უკვე ჩაცხრა პანიკა და სიმშვიდე და მხიარულებაც კი ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც გუნდის ლიდერმა, 211-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელ-ცენტრმა ჯერმენ ონილმა თქვა, ჩემს ძველ კლუბში ვრჩებიო. ონილი თავისუფალი აგენტი იყო და, როგორც ჩანს, სიტუაციით სარგებლობდა. ისეთი ატმოსფერო შექმნა, თითქოს სხვა გუნდების წინადადებებს განიხილავდა და „ინდიანას“ მაქსიმალურად ბევრი მილიონიც დასტყუა.

„ინდიანა“ ახლა 120 მილიონ დოლარს გამოდის, რათა შვიდი წლით თავისთან დაიგულოს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეფარე, რომელიც ახლა 25 წლისაა და თუ რამე არ შეემთხვა, წესით, შვიდი წელი კი უნდა ითამაშოს უმაღლეს დონეზე და გუნდს მატჩში საშუალოდ 20 ქულა და 10 მოხსნა მოუნაგროს. ონილი 16 ივლისის შემდეგ მოაწერს ხელს კონტრაქტს.




ჯეისონ კიდი ნიუ ჯერსიდან გაქცევაზე ფიქრობს

*უკონტრაქტო მოთამაშეები და მათი აყვანის მსურველი კლუბები მოუთმენლად ელიან თავისუფალ აგენტთა ბაზრის გახსნას. ბაზარი 16 ივლისს იხსნება, მანამდე კი მოთამაშეებს და კლუბებს ეკრძალებათ ერთმანეთთან ხელშეკრულების დადება. აი, ასეთი თამაშის წესები აქვს ნბა-ს და, მართალი ითქვას, ეს წესები ყველა მოთამაშეს თანაბარ პირობებში აყენებს. ვთქვათ, დაუმთავრდა კონტრაქტი შაკილ ონილს 1 ივლისს, 16 ივლისამდე კი მის ყველა მსურველს მიეცემა შანსი, მოელაპარაკოს შაკის აგენტს და თავად კალათბურთელსაც მოაწონოს თავი. თანაც ინტრიგაც იქმნება... ყველაფერი ისეა მოჩარჩული, რომ ყველას მოწონებული... აი, კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი, თუ რამდენად გამართულად მუშაობს ნბა.*

*ახლა თავად საბაზრო ინტრიგებზე ვთქვათ*

# საბაზრო ბარის ინტრიგები

რაკი ყველაზე დიდი თავისუფალი აგენტი თავისთან დაიგულა, „ინდიანას“ ცნობილი ბოსი დონი უოლში ახლა სხვებზე იმუშავებს. „პეისერზთან“ ძველი კონტრაქტი დაუმთავრდათ გუნდის სხვა წამყვან მოთამაშეებს რეჯი და ბრედ მილერებსაც და საჭიროა მათი დაბევებაც. სახელგანთქმული რეჯი მილერი მალე 38 წლის ხდება, მაგრამ ის გუნდს მინიმუმ ერთი წლით მაინც სჭირდება.

სასარგებლო მოთამაშეა რეჯის მოგვარე ბრედიც, ამპლუით ცენტრი. ბრედ მილერი წინა სეზონში საშუალოდ 13 ქულას და 8 მოხსნას აკეთებდა და ჯერმენ ონილთან წყვილში მძლავრ წინა ხაზს ქმნიდა.

### ნიუ ჯერსი კიდს ვერ გამოეკიდა

„ინდიანასავით“ როდი გაუმართლა ზოგიერთ სხვა კლუბს, მაგალითად, „ნიუ ჯერსის“. მართალია, „ნიუ ჯერსის“ პრეზიდენტი როდ ტორნი დონი უოლშივით მარიფათიანი მმართველია და საკლუბო სალაროში მილიონებიც უდევს, მაგრამ ის ალბათ ვერ შეინარჩუნებს გუნდის ლიდერ ჯეისონ კიდს. კიდმა ფაქტობრივად ააყვავა „ნიუ ჯერსი“, ზედიზედ ორჯერ ფინალში გაიყვანა გუნდი, რომელიც მანამდე პლეი ოფშიც ვერ ხვდებოდა. მაგრამ „ნეთსმა“ ორივე ფინალი წააგო, კიდს კი ჩემპიონობა უნდა და „ნიუ ჯერსიდან“ ალბათ ბოლო ფინალში მის მძლეველ „სან ანტონიოში“ გაიქცევა.

ჯეისონ კიდი მომხიბლავ მეუღლე ჯუმანასთან ერთად უკვე ეწვია სამხრეთ ტეხასს, სან ანტონიოს და იქ საქმიან სადილზე დაეწვია „სან ანტონიო სფურზის“ მწვრთნელსა და გენ-მენეჯერ გრეგ პოპოვიჩს, შემდეგ კი „სფურზის“ ლიდერ ტიმ დანკანთან — მეუღლე, ემი დანკანსაც ახლდა — ერთად ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა. ვითარება მომწიფდა და ახლა კვანძის გახსნას კიდის თანხმობაღა აკლია. ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი დასტურს ალბათ არ დაუგვიანებს ჩემპიონ გუნდს.

### ლეიკერსი იბერება

ოქროს სუნს მიჰყვებიან სხვა ვეტერანებიც — გერი პეიტონი და კარლ მელოუნი, მხოლოდ მატერიალურ ოქროს კი არა, საჩემპიონოსას. როგორც ჩანს, საბოლოოდ თუ არა, კარგა ხნით მაინც ჩაესვენება „იუტა ჯაზის“ მზე. ამ გუნდიდან ძველი ლიდერის ჯონ სტოქტონის წასვლას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა და დიდი მარილიანი ტბის სანაზებს ალბათ სტოქტონის დოსტი კარლ მელოუნიც დატოვებს. ეგაა, 39 წლის მელოუნი, მეგობრისგან განსხვავებით, ჯერაც არ აპირებს, კალათბურთისთვის თავის დაანებებს. როგორც გითხარით, ჩემპიონობა სწყურია და ეს წყურვილი ლოს ანჯელესისკენ ეწევა, სადაც მისი აყვანა თვით „ლეიკერსს“ სურს. მართალია, მელოუნი „იუტაში“ სეზონში ბარე 20 მილიონს შოულობდა, ხოლო „ლეიკერსში“ ამის მეათედს თუ აიღებს, მაგრამ ერთხელაც ვთქვათ — 18 წლის სტაჟიან და კარგა მსხვილ მილიონერ მელოუნს ფული აღარ აინტერესებს.



კარლ მელოუნი 18-წლიანი ერთგულების შემდეგ „იუტას“ ეყრება

ზუსტად მის ყოფაშია 34 წლის გერი პეიტონიც, ვინც თავისი პირველი 12,5 სეზონი „სიეტლში“ გაატარა, ხოლო ნახევარი სეზონი კი „მილუოკში“, სადაც გული არ უდგება. პეიტონიც „ლეიკერსისკენ“ იყურება და საამჟამო ინფორმაციით, თითქმის შეუთანხმდა კიდეც ლოსანჯელესურ სუპერკლუბს.

მოდით, ერთი წუთით მელოუნიცა და პეიტონიც „ლეიკერსში“ ჩავრიცხოთ. „ლეიკერსთან“ გამკლავება უამათოდაც ჭირდა, ახლა კი, როცა ორ იქაურ ზევარსკვლავს — შაკილ ონილსა და კობი ბრაიანტს — ეს ორი ბებერი მგელიც დაემატება, ვინ დაეჭიდება ამ ბუმბერაზს?

**კოტე ყორშია**



პაუ გასოლი, ვაჟა კვარაცხელია, ნიკა ცქიტიშვილი და ბოსტიან ნახბარი სასიამოვნო საზოგადოებაში

ვაჟა კვარაცხელია ერთი უბრალო მწვრთნელია, ბავშვებს ზრდის და თუ გამოადგა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში გადაყავს. ისე დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ კვარაცხელიას ვინძლო ქართველ მწვრთნელთაგან ყველაზე მეტად დაეკვეხნებოდეს, მოთამაშეები გამიზრდიაო. მის მონაფეთა შორის ყველას ნიკა ცქიტიშვილმა აჯობა, ვინც სამ წელიწადში სოხუმურ „კოლხადან“ „დენვერ ნაგიტსში“ ისკუპა. „ცქიტოს“ არასდროს დავიწყებია თავისი პირველი მწვრთნელი და კვარაცხელიასაც ხშირად ახსენებდა ოკეანგაღმურ ინტერვიუებში. მწვრთნელ-შეგირდს ერთმანეთი თითქმის ორი წელი არ ენახა, ამას წინათ კი, ივნისის ბოლოს ამის საშუალებაც მიეცათ, ცქიტიშვილი ნბა-ს სხვა ცნობილ სახეებთან ერთად ტრევიზოს ახალგაზრდულ კემპს სტუმრობდა და კვარაცხელიაც მიწვეული იყო ამ ვარჯიშობებზე. თბილისში მობრუნებულ კვარაცხელიას გუშინ შევხვდით ვერის ბაღში და მისგან საინტერესო ტრევიზოული ამბებიც მოვისმინეთ...

# ვაჟა კვარაცხელია ჯამაგირს ყოფნის

## ნიკა ცქიტიშვილის გამზრდელმა ევროპელები დათა თუთაშხიას ფილოსოფიას აზიარა

**— ტრევიზოს კემპზე რა მიზნით იმყოფებოდით?**

— შარშანდელ კემპზე, რომელსაც სტამბოლმა უმასპინძლა, ჩემი აღსაზრდელი გიორგი მამაცაშვილი იყო მიწვეული და მეც თან ვახლდი. ტრევიზოში გასამართ კემპზეც სწორედ შარშან მივიღეთ მიწვევა. ესეც რომ არა, ტრევიზოში ალბათ მაინც ჩავიდოდი, იქ ხომ ნიკა ცქიტიშვილი უნდა ჩასულიყო, რომელიც კარგა ხანია, არ მენახა.

**— ამ კემპში მონაწილე ქართველებმა როგორი შეფასება დაიმსახურეს?**

— არ გეგონოთ, იმიტომ ვაქებ, რომ ჩვენებურები არიან — გიორგი მამაცაშვილმა და მანუჩარ მარკოიშვილმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. ქართველებს უკვე ყველა გვიცნობს, ცქიტიშვილის, ფაჩულიას, მარკოიშვილის, მამაცაშვილის შემხედვარე უცხოელი იტყვის, აბა, რა იქნება, ნიჭიერი ერი ხართო. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ამერიკელები ნბა-ზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ და ქართველებზე იქ საკმაოდ მოზრდილი სიუჟეტი იქნება. ტრევიზოში ამ ფილმის შემქმნელებმა ინტერვიუები ჩამოგვართვეს მეც და ცქიტიშვილსაც. ნიკას სულ პირველი ნაბიჯებიც კი მომაყოლეს.

**— გავიგეთ, საკმაოდ სოლიდურ დახმარებასაც გამორჩით ნბა-ელებს...**

— ამას საქართველოს უკეთებენ. ნბა-ს ვიცე-პრეზიდენტ კიმა ბოხუნუს, რომელიც ლიგის მარკეტინგულ საქმეებს განაგებს, ტრევიზოში შევხვდი და ის დამპირდა, 200 ბურთისა და დრეკად ფარებს უახლოეს მომავალში გამოგიზავნითო. ნბა უკვე დაინტერესდა ჩვენი ქვეყნით, ამერიკელებმა მესამე ქართველი კალათბურთელი წაიყვანეს და იციან, რომ აქ კიდევ შეიძლება საჭირო მოთამაშეების პოვნა. ამიტომაც გვეხმარებიან.

**— ტრევიზოში ნასტუმრევ ნბა-ელ ევროპელებს დაახლოებიხართ...**

— ძალიან ჯიგარი ბიჭები არიან ყველანი — კირილენკო, გასოლი, ნახბარი, იარიჩი... ერთი ტონი პარკერია ცოტა უჟმური ტიპი, ცალკე ყოფნას ამჯობინებდა. ძალიან დავახლოვდით, ჩვენი წრე შევკარით და დროს სულ ერთად ვატარებდით.

**— ნბა-ელებს დროის სატარებლად ეცალათ?**

— როცა ვარჯიშები იყო, მეც იქ ვიყავი, გავთავისუფლდებოდით და ხან რესტორანში ვისხედით, ხანაც ყურის ძირში მდებარე ვენეციას ვათვალიერებდით. წამოსვლის წინა ღამე ბოსტიან ნახბარის ნომერში ქეიფში გავატარეთ.

**— ქართულად ხომ არ მოულხინეთ?**

— არა, მთლად ბოლომდე არ გვისვია. მეორე დღეს მოვდიოდით და ღამით კირილენკომ დაურეკა „ცქიტოს“, ნახბართან ვართ, ვაჟა წამოიყვანე და ამოდიო. თითოეულს საცოლე ახლდა თან, სახალისო სუფრა იყო, არაფერი დაგვიკლია. გოგოებს ჩვენებურ ანეგდოტებს ვუყვებოდი და ისინიც სიცილით კვდებოდნენ. ძალიან კარგი დრო ვატარეთ, არასდროს დამავიწყდება. კირილენკო ისე დამიძმაკაცდა, იმ საღამოს ხუმრობით მითხრა — „ვაჟა, ნე პრისტავაი კმაეი ჟენე“.

**— რა, საბაბი მიეცით, თუ?**

— არა, რას ამბობ, უბრალოდ, ასე გამოხატა ჩემთან ახლობლობა. რუსია, რას გაუგებ...

**— როგორც ვიცი, ნიკა ცქიტიშვილმა სწორედ წამოსვლის დღეს უთავკაცა თავის გუნდს პაუ გასოლთან ერთად კემპის მინი-ტურნირის ფინალურ მატჩში. გამოდის, ღამენათევებს უმწვრთნელიათ...**

— მთლად თეთრად არ გაუთენებიათ. ისე, საკმაოდ გვიან დავიშალეთ, მე რომ გვერდში არ ვყოლოდი, ნიკა დროულად ვერ გაიღვიძებდა. გასოლს არავინ ჰყავდა ხმის გამცემი საცოლის გარდა, მისი გოგონა კი ჩვენთან მხიარულობით ისე მოიქანცა, რას გააღვიძებდა და ესპანელმაც დაიგვიანა. დილით, გასოლი რომ თამაშზე მოვიდა, მეორე ტაიმი დაწყებული იყო, „ცქიტოს“ გუნდი საგრძნობლად უგებდა მეტოქეს და საბოლოოდ ჩემპიონიც გახდა.

**— რამე საქმიანი წინადადებები ხომ არ მიგიღიათ?**

— არა, კონკრეტული არაფერი, მაგრამ მთელი გულისყური რომ საქართველოზე აქვთ ევროპელ აგენტებს მოპყრობილი, საქმე არ არის? პენსიაზე მაშინ გავალ, კიდევ სამოთხ კალათბურთელს რომ დავაკავალიანებ ცქიტიშვილის მსგავსად. სხვათა შორის, იტალიაში მითხრეს, რაღა გინდა, ისეთი ბიჭი აღზარდე, მისი ნბა-ში გადასვლით ნაშოვნი ფული მთელი ცხოვრება გეყოფაო. დათა თუთაშხიას სიტყვები გამახსენდა და ვუპასუხე, ჯამაგირი კი არ უნდა ეყოს ადამიანს, ადამიანი უნდა გაწვდეს ჯამაგირს მეთქი.

**ირაკლი პერტაია**

*სპორტული საქონლის უმსხვილესმა მწარმოებელმა კომპანია „ნაიკმა“ კიდევ უფრო გაშალა ფრთები. „ნაიკი“ მალე ჩაყლაპავს თითქმის გაკოტრებულ კონკურენტ „კონვერსს“, რომელსაც ეს ბოლო წლებია, თავი ძლივს გააქვს და ვერც გააქვს*

# კონვერსი ნაიკმა ჩაყლაპა

„ნაიკი“ აპირებს, 305 მილიონ დოლარად იყიდოს „კონვერსი“ და შემდეგ მასთან ერთად განახორციელოს პროექტი, რომელსაც „რეტრო“ ჰქვია და ძველებური სპორტული წუღების მსგავსი საქონელის გამოშვებას გეგმავს.

„რეტროს“ სტილი სულ უფრო და უფრო მკვიდრდება თანამედროვე ყოფაში — ამბობს ნაიკის პრეზიდენტი იომ კლარკი — „კონვერსს“ ასეთი წუღების გამოშვებას დიდი გამოცდილება აქვს. ესაა სპორტული ფეხსაცმლების გამომშვები ერთ-ერთი უძლიერესი კომპანია, რომელსაც წარმატების ხანგრძლივი ისტორია აქვს.“

„კონვერსს“ მართლაც დიდი ხნის ისტორია აქვს, ეს კომპანია ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან უშვებდა სპორტულ ფეხსაცმელს და 80-იან წლებამდე ძირითადად ის მოსავდა კალათბურთელებს. შემდეგ გამოჩნდა „ნაიკი“, რომელმაც თავისი მაიკლ ჯორდანით და მისეული „ეარ ჯორდანებით“ თანდათან განდევნა „კონვერსი“ საკალათბურთო მოედნებიდან. 90-იან წლებში „კონვერსმა“ საფუძვლიანი თვითგარდაქმა სცადა, მაგრამ 2001 წელს გაკოტრდა და გაიყიდა. ახლა კი ეს უძველესი კომპანია, რომლის შემოსავალ-გასავლის წლიურმა ბრუნვამ ოდენ 205 მილიონი დოლარი შეადგინა, ხახაში ჩაუვარდა „პირტიტველა“ „ნაიკს“ რომელმაც, ბარემ აქვე ვთქვათ, ბოლო, 2002 წელს 10,7 მილიარდი დოლარი აბრუნა.

თავის დროზე კონვერსებს ფული და დიდება მოუხვეჭა წუღებმა — „ჩაკ ტეილორ“. ჩაკ ტეილორი „კონვერსის“ სარეკლამო აგენტი გახლდათ. 20-იანი წლებიდან 60-იანებამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში მოუღლელად დადიოდა და ნატურალურ რეკლამას ხალისით უკეთებდა თავის (კონვერსის) ფეხსაცმელებს.





„ნაიკმა“ თავისი „ეარ ჯორდანებით“ „კონვერსი“ ნბა-ს მოედნებიდან განდევნა





რაფაელ ნადალი

# ბიჭის ნიჭი გზას იკაფავს

**შვეიცარიის ღია პირველობა**

**გსტაადი. თიხნარი**

**საპრიზო 550 ათასი ევრო**

**მეორე წრე**

**ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი)** — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 1:6, 6:2, 6:3; **გასტონ გაუდიო (4, არგენტინა)** — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 4:6, 6:2, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (5, არგენტინა)** — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 6:7 (2:7), 7:6 (7:3); **შტეფან კუბეკი (ავსტრია)** — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:1, 6:2

ირჟი ნოვაკის სახელგავარი წლეულს მაინცდამაინც ხშირად არა გვსმენია, მაგრამ — დახეთ — ამასობაში თავის მეხუთე მეოთხედფინალში გავიდა.

წინა ოთხჯერ უკანასკნელ რვეულს მან დუბაიში, ჰალეში, ოკლენდსა და ჰერტოგენბოსხში უწია. ჯამში 17 მარცხის წილ 26 გამარჯვება დაიგროვა და ჩემპიონთა რბოლაშიც 21-ე ადგილზე მკვიდრობს.

ეგებ გახსოვდეთ — შარშან მან 26 მარცხის წილ 53 გამარჯვება მოიხვეჭა და რბოლაშიც მე-7, წლის დამაგვირგვინებელ მასტერსტურნირზე გამყვანი ადგილიც დაიკავა.

შეძლებს ტურნირის წინისწინდელი ჩემპიონი წლეულს იმავის გამეორებას? თქვენი არ ვიცი და მე კი კაცური ეჭვი მეპარება.

თუმცა ახლა ამაზე მარჩიელობის დრო ჯერ არ არის და ხამს, ირჟისაც ის დავუფასოთ, რაც აქამდე გაუკეთებია.

სხვაფრივ — კიდევ უფრო რიგიანი საამსეზონო მაჩვენებელი დაეკვეხება არგენტინელ გასტონ გაუდიოს.

მის მიერ გერმანელი ბურგსმიულერის ძლევა გაუჩოსთვის წლეულს 32-ე გამარჯვება იყო, რის საპირწონედაც მისი მეტოქენი მხოლოდ 15 გამარჯვებას მოიძევენ. ამ 47-დან გაუდიომ 40 შეხვედრა თიხაზე გამართა და იქ უფრო საარაკო შედეგს დაიკვეხს — 30 მოგება 10 მარცხის მაგიერ.

**SYNSAM SWEDISH OPEN**

**ბასტადი. თიხნარი**

**საპრიზო 380 ათასი ევრო**

**მეორე წრე**

**მიხაილ იუჟნი (4, რუსეთი)** — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:1, 5:7, 6:2; **მარიანო საბალეტა (5, არგენტინა)** — ბიორნ რენკვისტი (შვედეთი) 6:1, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი (6, ეკვადორი)** — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:4, 7:6 (7:5); **რაფაელ ნადალი (ესპანეთი)** — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:0, 6:4

დღის უმთავრესი ამბავი 17 წლის ესპანელი ვუნდერმუჩაჩოს, რაფაელ ნადალის მიერ კარიერის პირველ მეოთხედფინალში გასვლა გამოდგა.

პატარა რაფომ 30 წლის თვისტომ ალბერტ პორტასს აჯობა, თანაც ისე, რომ არც მარჯვნიდან, არც მარცხნიდან მისთვის ფიორა შანსიც არ მიუცია.

სანახევარფინალო საგზურისთვის ნადალი ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის უნდა შეერკინოს. ლაპენტისთვისაც ეს წლის პირველ მეოთხედფინალი იქნება.

# შინაურ ნანდროლონს შენდობა ჰქონია

## ვინც დალია, ისევ იმან დალიოს



შერისხული ბოგდან ულირახი გამართლდა

კაცთა ჩოგბურთის მამებმა ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ამბავი გაარკვიეს: თურმე ყველას უთხარით და, მეჩოგნეთა შარდში რომ ზოგჯერ აკრძალული ნივთიერება ნანდროლონი დაილექება, მაგას თავად ეიტიპის მიერ ნებადართული პრეპარატებიც შეიცავს.

დიახ — გაუწყლოვნების, გაულუდოვნებისა თუ სხვა ეგეთი სასპორტო უხერხულობების წინააღმდეგ ოფიციალურად მოსახმარმა აბმა ნებისმიერი მეჩოგნე შეიძლება ისეთსავე (შავ) დღეში ჩააგდოს, როგორც რომ უნამუსო აქიმბაშის მიერ შემოძლეულმა სტიმულატორმა.

ცხადია, ეს ყველა პრეპარატს არ შეეხება, მაგრამ რომელსაც კი შეეხო, იმ პრეპარატმიღებულსა და შედეგად — შარდში ნანდროლონაღმოჩენილ ყველა მეჩოგნეს ყოველგვარი საჯარიმო სანქცია მოეხსნა.

ცოტა რთულად ხომ არ გამომივიდა? თუ - კი, მაშინ უფრო მარტივად ვიტყვი:

ყველა მეჩოგნე, ვინც ეიტიპიმ იმის გამო დასაჯა, რომ შარდში ნანდროლონი აღმოუჩინა, ხოლო ნანდროლონი მის შარდში ეიტიპისავე მიერ ნებადართული პროდუქციის მიღებამ გამოიწვია, ავტომატურ რეაბილიტაციას დაექვემდებარა.

აი, ასე!

შედეგად: სხვას თავი დავანებოთ და, 28 წლის ჩეხის, 3-გზის ტიტულოსნის, 3-გზის მილიონერისა და ოდესღაც მსოფლიო რეიტინგსიის 22-ე საფეხურზე მდგარი ბოგდან ულირახისა ვთქვათ.

ბოგდანს შარდის წამურდვლა 2002 წლის ოქტომბერში მოსკოვურ ტურნირზე დაუფიქსირეს. ის საჩოგნეთს ორი წლით მოეკვეთა და 100 სარეიტინგო ქულის გარდა 43 770 დოლარითაც დაისაჯა.

რასაკვირველია, ჩეხს ახლა ეს ყველაფერი დიდი რამ ბოდიშობნითა და რამე-რუმეებით დაუბრუნდება.

„მადლობა ღმერთს — ამბობს ბოგდანი — ძალიან მიხარია, ეს ბინძური ეპიზოდი წარსულში რომ დარჩა და კვლავ საყვარელი საქმის, ჩოგნის ქნევის საშუალება მომეცა."

ეიტიპელი მამები იმედოვნებენ, რომ ბოგდანი მათზე გულში ბოროტს არ ჩაიდებს და დაკარგულზე მეტის მიღებას სასამართლოს მეშვეობით არ ეცდება.

თითქოს ბოგდანიც მშვიდობიანად არის განწყობილი, მაგრამ სანაცვლოდ მისმა ადვოკატებმა ქაბაბის სუნი იკრეს და სანამ დახლიდარს ერი-ორ ულუფას არ გააგდებინებენ, არ დაოკდებიან.

ამას ჩვენი კლიენტის კეთილი სახელისთვის ზრუნვა გვავალდებულებსო, ამბობს ერთ-ერთი მათგანი, ვინმე ირჟი ბალასტიკი და, ენკი-ბენკი, ვინძლო არღ გაემტყუნებოდეს.

**ლევან ძელაურაძე**



**ტურ დე ფრანსი 2003**

# რა გაუჭირეთ ამ კაცს საქმე?!

## პეტაკის ჩიპოლინი შეაძულეს





ვიქტორ ჰიუგო პენა (მარცხნივ) კვლავაც საერთო ჩათვლის ლიდერია, ალესანდრო პეტაკი კი ვერაფრით გამოვიდა ჩიპოლინის ჩრდილიდან

ტურ დე ფრანსზე ლეგენდარული იტალიელის მარიო ჩიპოლინის აჩრდილი დაჰქრის. მართალია „სუპერ მარიო" ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მაგრამ მისი ტიტულები და ძველი დიდება არ ასვენებენ დღევანდელ ვარსკვლავებს.

თვით ალესანდრო პეტაკიც კი, რომელიც წლევანდელი ჯიროს თორმეტი ეტაპის მომგებია, და ტურ დე ფრანსის ფავორიტია, თავის ყველა ფინიშის შემდეგ ჩიპოლინის იხსენიებს.

ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა მარიო ჩიპოლინისთვის არ დაუშვეს ე. წ. „ველური ბარათი" (WILD CARD), რომელსაც მარიო ბოლო წუთებამდე ელოდა, აქაოდა ძველი დიდების გამო ჩემთვის მაინც დაუშვებენ გამონკლისო. მარიოსთვის სამწუხაროდ ტურის მაxვშები პრინციპულები აღმოჩნდნენ და შარშან დოპინგ სკანდალში გახვეული სუპერმრბოლი სეზონის უპირესტიჟულეს შეჯიბრზე არ მიიპატიჟეს.

ჩიპოლინიზე ამხელა შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ტურ დე ფრანსის მე-5 ეტაპის მომგებმა ალესანდრო პეტაკიმ კვლავ ახსენა ჩიპოლინი: „იცით რა არის? ყოველი მოგებული ეტაპის შემდეგ რატომღაც ჩიპოლინის მადარებენ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნო მომენტია. მაგრამ არის მეორე მხარეც. ძალიან მაღიზიანებს როცა ამ შინაარსის კითხვებს მისვამენ — მარიო რომ ყოფილიყო... მარიოს მეტოქე რომ ყოფილიყავით... — კი ვაღიარებ რომ ჯიროზე მარიომ სისხლი გამიშრო, მთებზე ის ჩემზე სწრაფი იყო, მაგრამ რა? ქუჩებით მე მაინც ვაჯობე მას. და რა გამოდის? დროა მისი ჩრდილიდან გამოვიდე. თორემ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩიპოლინის აჩრდილი ყველგან დამსდევს. რაც ჯიროზე მასთან წავაგე, მისი სიძლიერის ბრალი იყო. ახლა კი მე მასზე ძლიერი ვარ. ამას დავამტკიცებ — ტურს მოვიგებ!" — პეტაკიმ ლამის ისტერიკული განცხადებით დაამთავრა გამოსვლა.

სანამ პეტაკი ჩიპოლინის „აჩრდილს ემალება", თუ ებრძვის, მანამდე საერთო ჩათვლას, ყველასთვის მოულოდნელად ისევ კოლუმბიელი ვიქტორ ჰიუგო პენა ლიდერობს. ოღონდ მისი ლიდერობა მაინც დროებითია, რაკი მას სულ რაღაც 1 წამით ჩამორჩება მისივე თანაგუნდელი ტურ დე ფრანსის ოთხგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი, რომელიც თავის მომენტს ელოდება. არმსტრონგის სტიქია სამთო რბოლებია, რომლებიც დღეიდან დაიწყება.

**ბაჩო სვანიძე**

**V ეტაპი. 10 ივლისი**

**ტრუა — ნევერი 196 კმ**

1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 4 სთ 9 წთ 47 წმ
2. იან კირსიპუ (ესტონეთი, AG2R)
3. ბადენ კუკი (ავსტრალია, FDJEAUX.COM)
4. ერიკ ცაბელი (გერმანია, თიმ ტელეკომი)
5. რობი მაკიუენი (ავსტრალია, ლოტო) ყველა იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ვიქტორ ჰიუგო პენა (კოლუმბია, US პოსტალი) 17 სთ 54 წთ 31 წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) +1 წმ
3. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი, US პოსტალი) +5 წმ
4. ჯორჯ ინკაპი (აშშ, US პოსტალი) +5 წმ
5. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, US პოსტალი) +23 წმ



ტრუადან ნევერამდე მრბოლებმა ფრანგულ ზვინებში იარეს




*რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) დაადასტურა, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობა იაპონიას, არგენტინას და აშშ-ს სურთ. სამივე ქვეყანამ უკვე ახლა მსოფლიო რაგბის მამებს ოფიციალური თხოვნა. ჯერი ახლა მპი-ზეა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ვის ერგება რვა წლის შემდეგ გასამართი მსოფლიოს თასის მასპინძლობის პატივი*

# მსოფლიოს თასი დახურული კლუბი აღარ იქნება

## იაპონია, არგენტინა თუ ამერიკა?

კანდიდატებმა IRB-ის საგანგებო კომიტეტს მსოფლიოს თასის მასპინძლობის ვრცელი პროგრამაც უნდა წარუდგინონ, სადაც ყველაფერი მისხალ-მისხალ იქნება გათვლილი. ცხადია, ეს საკმაოდ დრო და შრომატევადი პროცესია და საამისოდ IRB-მ მათ ორწლიანი ვადა მისცა. ერთი სიტყვით, 2005 წელს გახდება ცნობილი 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელი ქვეყანა.

გამორიცხული არაა, იაპონიას, არგენტინასა და აშშ-ს მოცილეებიც გამოუჩნდნენ. ესენი ალბათ ინგლისი და ახალი ზელანდია იქნებიან. ინგლისმა საფრანგეთთან წააგო 2007 წლის სამსოფლიოსთასო კონკურსი, ხოლო ახალ ზელანდიას წლევანდელი მსოფლიოს თასისთვის ავსტრალიასთან ერთად უნდა ემასპინძლა, მაგრამ IRB-სთან ფინანსური დავის გამო ჩამოერთვა ეს უფლება, ჰოდა, დიდი შანსია, ინგლისი და ახალი ზელანდია ისევ ჩაებნენ ამ დიდი ტურნირის დასათავისებლად. ერთი კია, მათი შანსები ძალიან მცირეა, რადგან აქამდე გამართული ოთხი თასი და მომდევნო ორი, სამი ერის და ექვსი ერის წევრ ქვეყნებს არ გასცილებია, ჰოდა, IRB-ის აზრით (რაც ბევრ რამეს წყვეტს), დროა, მსოფლიოს თასს სხვა ქვეყნებმაც უმასპინძლონ. ბარემ აქვე გავიხსენოთ, რომ 1987 წელს მსოფლიოს თასს ახალმა ზელანდიამ უმასპინძლა, 1991 წელს ინგლისმა, 1995-ში სამხრეთ აფრიკამ, 1999-ში კი უელსმა. წლეულს ეს დიდი სარაგბო ტურნირი ავსტრალიაში გაიმართება, ხოლო 2007 წელს საფრანგეთში.

ახლა კი IRB-ის გენერალურ მდივან მაიკ მილერის კომენტარი კანდიდატთა თაობაზე: „ვფიქრობ, იაპონიას მეტი შანსი აქვს. მათი ეკონომიკა ძალიან მაღალი დონისაა. არც მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის პრაქტიკა აკლიათ. გარდა ამისა, იაპონური რაგბის პროგრესი აშკარაა. და კიდევ: ჩვენი მიზანია, რაგბი გლობალური გახდეს და აზიაში ისეთივე პოპულარობა შეიძინოს, როგორიც ფეხბურთმა.

რაც შეეხება არგენტინას, ის უდავოდ იმსახურებს მსოფლიოს თასის მასპინძლობას, ოღონდ ძალიან გვაშინებს არგენტინაში გამეფებული ეკონომიკური კრიზისი. ისე კი, არგენტინას დიდი სარაგბო ტრადიციები გააჩნია და ნაკრებიც შვენივრად თამაშობს. დარწმუნებული ვარ, რომ არგენტინელები ნამდვილ სარაგბო ფიესტას მოაწყობენ.

აშშ-ის რაგბის კავშირს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც ქვეყანაში რაგბის განვითარებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს, აშშ ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყანაა და იაპონიის მსგავსად მასაც აქვს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის გამოცდილება."

**გაჩო სვანიძე**



# კულჰარდმა დანაშაულისთვის შუმახერისგან მადლობა მიიღო



მიხაელ შუმახერსა და დევიდ კულჰარდს შორის გაურკვეველი არაფერია

*კოლეგიალობა და ურთიერთპატივისცემა ერთად მოსაქმე მეტოქეებს შორისაც რომ აუცილებელია, რა მტკი[illegible]ება უნდა. ზრდილობა გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს ისეთი სახიფათო ხელობის მიმდევართათვის, როგორიც ავტორბოლაა. ფორმულა 1-ის ტრასებზე საათში 300 კილომეტრზე მეტი სიჩქარით ქროლისას უმცირესი შეცდომაც პილოტისთვის შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს*

ორიოდე კვირის წინ გერმანიაში, ნიურბურგის ტრასაზე რბოლისას ერთ-ერთი მოსახვევის წინ ესპანელმა ფერნანდო ალონსომ მკვეთრად დაამუხრუჭა და მის უკან ბევრად სწრაფად მავალმა დევიდ კულჰარდმა, შეჯახება რომ აეცილებინა, ძლივს მოასწრო მანქანის გვერდზე გაწევა. „მაკლარენი" გზას გადასცდა და დამცავ ზონაში გვარიანადაც იფრინა. ბედად, არც ამოყირავებულა და არც რკინის ზღუდეს მიხეთქებია. შოტლანდიელი უვნებლად კი გადარჩა, მაგრამ აღშფოთებული იყო, მისი აზრით, მეტოქის არაკორექტული ქმედებით, განგებ გამოთიშა, რომ არ გამესწროო.

კომისრებმა მრბოლებთან ერთად ინციდენტი დაწვრილებით გაარჩიეს და ვიდეოჩანაწერის, აგრეთვე ტელემეტრიული მონაცემების შესწავლის საფუძველზე ალონსო უდანაშაულოდ ცნეს. კულჰარდიც დაცხრა, თუმც ახლა სინანულის გრძნობა გაუჩნდა და მიხაელ შუმახერსა და მას შორის ხუთი წლის წინ მომხდარი ანალოგიური შემთხვევა გაიხსენა. 1998 წელს ბელგიურ ეტაპზე, ერთი წრით ჩამორჩენილმა დევიდმა მიხაელს გზა არ დაუთმო, რის გამოც „ფერარი" „მაკლარენს" უკნიდან საშინელი ძალით შეასკდა. გერმანელი ფათერაკს სასწაულებრივად გადაურჩა. „მას ჩემი მოკვლა უნდოდა" — გაავებული იყო შუმი მაშინ.

კულჰარდმა ახლაღა აღიარა თავი დამნაშავედ იმ შეჯახებაში. მისი თქმით, მსგავსი შემთხვევები აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს — „მაშინდელი ავარია ჩემი მიზეზით მიხაელისთვის შეიძლება ფატალური ყოფილიყო, ისევე, როგორც „ნიურბურგრინგზე" მომხდარი — ჩემთვის".

შუმახერმა მეტოქე-კოლეგას მონანიებისთვის მადლობა გადაუხადა — „მოხარული ვარ, რომ დევიდმა მაშინ მომხდარზე ბოლოს და ბოლოს გაიზიარა ჩემი აზრი. ეს დიდი ხნის წინ იყო, ასე რომ, გახსენება არც ღირდა, თუმც სასიამოვნოა, რომ მან ეს აღიარა."

**გია ახალაძე**



# ჰაშეკს და დეტროიტს კუჯოსთან შეეშალათ



დომინიკ ჰაშეკს დაბრუნება მოეპრიანა

„დომინატორი" დაბრუნდა. ეს უკვე გადაწყდა და მის ძველ გუნდ დეტროიტს ახლა ისღა დარჩენია, გასულ სეზონში მისი შემცვლელის, კერტის ჯოზეფის პრობლემა მოაგვაროს.

მალიორკაზე მცხუნვარე მზეს მიფიცხებულმა ჰაშეკმა სიტყვას არ უღალატა და თავისი გადაწყვეტილება გუშინწინ საზოგადოებას პლაჟისპირეთიდან ამცნო. „ჩემი ელემენტები გადატენილია, ენერგია მომიზღვავდა და თასის მოსაპოვებლად უნდა ვიბრძოლო" — განაცხადა „დომინატორმა" საგანგებო პრესკონფერენციაზე. კლუბის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ორშაბათს გააგრძელა მასთან კონტრაქტი, მაგრამ ბოლო სიტყვა თავად მეკარეს უნდა ეთქვა და თქვა კიდეც.

ამრიგად ახალ სეზონში დეტროიტის ძირითადი მეკარე კვლავ ჰაშეკი იქნება, ხოლო ჯოზეფს სხვა გუნდის ძებნა მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად, გუნდს „კუჯოს" გაყიდვის უფლება არა აქვს, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ახლა თავად მეკარემ უნდა მოითხოვოს ტრეიდი. „ძალიან საწყენია, რომ ჩემი გადაწყვეტილება ასე აზარალებს მეორე ადამიანს, მაგრამ მე მხოლოდ დეტროიტში თამაში მსურს" — განაცხადა ჰაშეკმა.

როგორც ვარაუდობენ, ჯოზეფის შეძენა დეტროიტის მოსისხლე მტერს, კოლორადოს ჰქონია და ასევე, სენტ ლუისსაც სჭერია მასზე თვალი. თავად ჯოზეფს ჯერ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია, მისმა აგენტმა დონ მიჰერმა ჟურნალისტებს უთხრა ბოლო სიტყვა სწორედ მე და ჩემმა კლიენტმა უნდა ვთქვათო.

„კენი (კენ ჰოლანდი დეტროიტის გენერალური მენეჯერი) უახლოეს მომავალში სავარაუდო მყიდველებთან ილაპარაკებს და შემდეგ ჩვენ წარმოგვიდგენს საბოლოო სიას. მერე თავად გადავწყვეტთ ყველაფერს" — ამცნო მიჰენმა გულშემატკივრებს. ახლა შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება დეტროიტის და ჯოზეფის მომავალი გუნდის თამაშები.

**სამველ ღარიბიანი**

# საშინელებაა! ლიაშენკომ თავი წამებით მოიკლა

რომან ლიაშენკო გულის უკმარისობით კი არ გარდაიცვალა, თავი მოიკლა — ეს არის ბოლო, ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია. წუხელ თურქეთის პოლიციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც „რეინჯერსის" ყოფილი მოთამაშის დაღუპვის დეტალები ირკვევა. მან თურმე ჯერ ვენები გადაიჭრა, მერე კი თავი ჩამოიხრჩო აბაზანაში. ამ საბედისწერო ნაბიჯის წინ წერილიც დაუწერია, რომელიც მის ნომერში იპოვეს. ლიაშენკო ბოდიშს უხდის ნათესავებს და თვითმკვლელობის მიზეზად რაღაც იმფექციურ დაავადებას ასახელებს.

შეგახსენებთ, რომ ლიაშენკო დედასთან და დასთან ერთად ისვენებდა თურქეთში და თავი რუსეთში გამგზავრების წინა ღამეს მოიკლა.

ცხადია, ამ ტრაგედიამ შოკი გამოიწვია როგორც ნჰლ-ში ისე რუსეთში (ბოლო ინფორმაციით, ლიაშენკო რუსეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას). უკლებლივ ყველა გააოცა ამ თვითმკვლელობამ, რადგან რომანი გულღია, მხიარული ადამიანი იყო, უსაზღვროდ უყვარდა სიცოცხლე და არასოდეს უჩიოდა ჯანმრთელობას. ამიტომ მის მიერ დასახელებული თვითმკვლელობის მიზეზს ბევრი ეჭვის თვალით უყურებს. ზოგიერთი ინფორმაციით, ამ ნაბიჯის გადადგმის საბაბი მეგობარ გოგონასთან გართულებულ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ (გიელფრენდი ეროვნებით რუსია და შვეიცარიაში ცხოვრობს), ზოგიც მიზეზად ნჰლური კარიერით უკმაყოფილებას ასახელებს. თუმც ეს ყველაფერი ვერსიებია და სინამდვილე მხოლოდ ღმერთმა უწყის.



# როჯერი და ჯულიეტა

შვეიცარიელი მესაქონლეების მაჯრ შონკის ნაჩუქარი ძროხა-ჯულიეტა როჯერ ფედერერს ისე შეუყვარდა, მასთან უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე გულისვარდ მიროსლავა ვავრინეცთან. ფოტოებზე იმასა სჭვრეტთ, თუ როგორ სათუთად ფლვლემს როჯერი ჯულიეტას გატიკნილ ჯიქნებს, ხოლო იქაურებში განთქმული მერძეყველე ჰანსპეტერ როისტი მას ჰალალად და დაუზარლად ეხმარება. ჰო — მიროსლავასგან განსხვავებით, ჯულიეტას მარტო როჯერი ჯერ ვერ ყოფნის.



REUTERS გსტაადიდან



# ძაან მონაგარი

2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადას ჩინთა სატახტო პეკინი რომ მასპინძლობს, ეგ არახალი ამბავია. არც ისაა ახალი, საამამბოდ ჩინელები მილეთს ყველანაირად რომ ამზადებენ. აი, ამ ჯერზე სახელოვანი ძან ვანინის პერსონალურ სპორტულ მონაგართა გამოფენაც მოუწყვიათ — გამოფენის მიზანია, შთაგვბეჭდოს და დაგვასკვნევინოს, რომ საოლიმპიადოდ პეკინი შემთხვევით არ აურჩევიათ. აბა.




REUTERS პეკინიდან



REUTERS

# დედა ნახე, მამა ნახე

ჰინდონი — იმრან (მარცხნივ) და ნასიმ მირზები თავიანთ 16 წლის გოგოცუნა სანიას აი, ასე საჯაროდ პრომტნიან. ჰაი, ჰაი, რომ არც გაემტყუნებათ, რაკილა ეს ცუგრუმელა პირველი ჰინდო მეჩოგნე გახდა, რაგინდარა სლემტიტულის მოხვეჭა რომ შეძლო. და, მერე რა, რომ ეს მხოლოდ იუნიორთა წყვილთაობაში მოგებული ტიტულია? არც არაფერი. ისე კი — სანიამ ჯილდო რუსვოგო ალისა კლეიბანოვასთან ერთად ირგუნა.

# მს რობოტასია

ჩრდილოიტალიურ პადუაში რობოტთა საფეხბურთო მსოფლიო თასი გაჩაღებულა. თასი უკვე მეშვიდედ იმართება და ამბობენ, მის ყურებას არაფერი სჯობსო. ისე, მართლა კაი ტიპები ჩანან და ვინძლო ბურთაობაც კარგი იცოდნენ.



REUTERS პადუიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge